F75/3 № 16122
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მეცამეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: პასუხ. რედაქტორის—14-76, რედ. მოადგილის—23-17, სამდივნოს—10-58, მთ. კანტორის—3-21.

კვირა, 1 იანვარი 1933 წ. № 1 (3557)

## საბჭოთა კავშირის მშრომელთა მილიონების ენტუზიაზმით,

რომელსაც ხელმძღვანელობს ლენინის პარტია მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის **ამხ. სტალინის** მეთაურობით, მიღწეულია პირველი ხუთწლედის უდიდესი გამარჯვება სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

# გაუმარჯოს მეორე ხუთწლედს—

## უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების ხუთწლედს



„მეორე ხუთწლედის ძირითად პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების საბოლოო ლიკვიდაცია, იმ მიზეზების სრული აღმოფხვრა, რომლებიც წარმოშობენ კლასობრივ განსხვავებას და ექსპლოატაციას, კაპიტალიზმის ნაშთების გადალახვა ეკონომიკასა და ადამიანების შეგნებაში და ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის გადაქცევას უკლასო სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ მშენებლებად“



# ახალი გამარჯვებებისაკენ მეორე ხუთწლედში

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი გმირული ბრძოლით გადავიდა მეორე ხუთწლედში.

გუშინ დასრულდა პირველი ხუთწლედი — ამ ბრძოლისა სოციალიზმის მშენებლობისათვის საბჭოთა კავშირში, პირველი ხუთწლედი, რომელიც ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მილიონების ურყევი ნებისყოფით, სოციალისტური ენტუზიაზმით და ლენინური პარტიის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით ოთხ წელიწადში, ზოგიერთ დარგებში კი—უფრო მოკლე დროის განმავლობაში, იქნა შესრულებული.

ვავლებთ რა თვალს განვლილი ხუთწლედის გმირულ ბრძოლას, სიამაყით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მტრული გარემოცვის და გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, გაშლილი შეტევით კულაკობის, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტების და კონტრრევოლიუციონური ტროცკიზმის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა შესძლო იმის გაკეთება, რაც არა მარტო ჩვენს მოსისხლე მტრებს, არამედ ზოგიერთ „მეგობრებსაც“ უტოპიათ მიაჩნდათ.

სრული 7 წლის წინ, 1925 წ. დეკემბერში—პარტიის მე-14 ყრილობაზე პარტიისა და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ამხ. სტალინი ამბობდა: „ჩვენი ქვეყნის გადაქცევა აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიალურ ქვეყნად, რომელიც შესძლებს თავისი საკუთარი ძალებით დაამზადოს საჭირო მოწყობილობა,—აი რაშია ჩვენი გენერალური ხაზის დედა-აზრი, საფუძველი. ჩვენ ისე უნდა დავაყენოთ საქმე, რომ სამეურნეო მუშაკების ფიქრი და მისწრაფებები მიმართული იყოს სწორედ აქეთკენ, ჩვენი ქვეყნის გადაქცევისაკენ ქვეყნიდან, რომელსაც შემოაქვს მოწყობილობა, ქვეყნად, რომელიც ამზადებს ამ მოწყობილობას. ვინაიდან ამაშია გარანტია იმისი, რომ ჩვენი ქვეყანა არ გადაიქცევა კაპიტალისტური ქვეყნების დანამატად“.

დღეს, ჩვენი შეურიგებელი მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზის უდიდესი გამარჯვება, აღიარონ ის, რომ საბჭოთა კავშირი არა თუ არ გადაიქცა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიურ დანამატად, არამედ ის არის ერთად-ერთი ქვეყანა მთელს მსოფლიოში, რომელიც შეუჩერებლად ავითარებს თავის საწარმოო ძალებს.

ფაქტები ჯიუტი რამ არის და მას იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ იმათაც კი, ვისთვისაც ეს ფაქტები სასიკვდილო განაჩენს წარმოადგენენ.

იმ დროს, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში შეუჩერებლად იზრდება უმუშევრობა, საბჭოთა კავშირში უმუშევრობა მოსპობილია; იმ დროს, როცა ფოლადის გამოდნობა 1932 წ. ნოემბერში შეერთ. შტატებში შემცირებული იყო 82 პროცენტით, ინგლისში—52 პროცენტით, გერმანიაში—78 პროცენტით, საფრანგეთში—44 პროცენტით, საბჭოთა კავშირი შეუჩერებლად ავითარებს ფოლადის გამოდნობას და ამ მხრივ წინ უსწრებს გერმანიას და იკავებს მეორე ადგილს მსოფლიოში. მეორე ადგილს ვიკავებთ ჩვენ მსოფლიოში აგრეთვე ფოლადის და ნავთის მხრივ, პირველ ად[illegible] წარმოებისა და მომჭედი ბრძმედების მხრივ. თუ ხუთწლედის დაწყებისათვის (1928 წ. დამლევს) სოციალისტური მრეწველობის ძირითადი ფონდები უდრიდა 4,9 მილიარდ მანეთს, ხუთწლედის დამლევისათვის იგი აღწევს 1[illegible] მილიარდ მანეთამდე, ე. ი. სამჯერ გაიზარდა და სხვ.

ხუთწლიანი გეგმით პირველი ოთხი წლ. განმავლობაში (ე. ი. იმ ვადაში, რომელშიც ჩვენ შევასრულეთ ხუთწლედი) უნდა ამუშავებულიყო 712 ახალი საწარმო, ნამდვილად კი სამი პირველი წლის განმავლობაში ამუშავებული იქნა 768 საწარმო და მათგან ბევრი გაცილებით უფრო მძლავრი, ვიდრე იყო გათვალისწინებული (მაგ. მაგნიტოგორსკის გიგანტს წლიურად გეგმით უნდა მოეცა 600.000 ტ. თუჯი, საბოლოოდ კი დაპროექტებულ იქნა 2.500.000 ტ. თუჯის პროდუქციით).

აგებულია, მუშაობს და თავის პროდუქციას აძლევს საბჭოთა ქვეყანას მთელი რიგი მსოფლიო სამრეწველო გიგანტები: მაგნიტოგორსკის, კუზნეცკის, სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა, ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა, ამხ. სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხანა, მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა, ბურთულასაკისრების ქარხანა, დნეპროშესი და სხვ., რომელთაგან ზოგი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულიც არ ყოფილა.

ჩვენ წარმატებით ვეუფლებით რთული მანქანების და მოწყობილობის წარმოებას და პრაქტიკულად ვანხორციელებთ ამხ. სტალინის ლოზუნგს საბჭოთა კავშირის გადაქცევის შესახებ ქვეყნიდან, რომელსაც შემოაქვს მანქანები და მოწყობილობა, ქვეყნად, რომელიც თვითონ ამზადებს ამ მანქანებს და მოწყობილობას.

ჩვენ ვამზადებთ ამჟამად ისეთ მანქანებს, რომელთა წარმოების ნიშანწყალიც კი არ იყო ძველს რუსეთში: ტრაქტორები, სატრაქტორო გუთნები, კომბაინები, სატრაქტორო სათესი მანქანები, ტურბო და ჰიდრო გენერატორები, ბლიუმინგები, საკრეკინგო მოწყობილობა და სხვ.

მძიმე მრეწველობის ფართო გაშლით ჩვენ შევძელით წარმატებით გადაგვეჭრა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საკითხი, მსხვილი სოციალისტური მიწადმოქმედების შექმნის ამოცანა. ძირითად საკითხში — „ვინ ვის“ მიღწეული შედეგები როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში წარმოადგენენ პარტიის გენერალური ხაზის ბრწყინვალე გამარჯვებას, მოწმობენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაზე, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციაზე აღებულ გეზის სისწორეს.

აი როგორ იზრდებოდა ჩვენი სოფლის სოციალისტური სექტორი: 1927 წ. იყო—18.800 კოლმეურნეობა, 266.000 მეურნეობებით და 749000 ჰექ. ნათესით. 1930 წ.—50.800 კოლმეურნეობა, 1094 ათას მეურნეობით და 4.155.000 ჰექტარ ნათესით; 1930 წ.—86.800 კოლმეურნეობა 6189 ათ. მეურნეობით და 38.081 ათ. ჰექტარ ნათესით; 1931 წ.—211.000 კოლმეურნეობა — 13.033 ათას მეურნეობით და 78.972 ათას ჰექტარ ნათესით; 1932 წ.—211.000 კოლმეურნეობა — 14.982 ათას მეურნეობით და 91,579 ათას ჰექტარ ნათესით.

1921 წ. გვქონდა ერთი სამანქანო-სატრაქტორო სადგური 40 ტრაქტორით (სულ 650 ცხ. ძალა), რომელიც მომსახურებას უწევდა 32.000 ჰექტარს, 1932 წ. კი გვაქვს 2.498 სამანქანო-სატრაქტორო სადგური — 7[illegible].100 ტრაქტორით ([illegible] ცხ. ძალა), რომლებიც ამუშავებს 50.000 მილიონ ჰექტარს. ეს ნიშნავს ზრდას ხუთწლედის განმავლობაში: ტრაქტორების რიცხვის მიხედვით—1827-ჯერ, მათი ძალოვნების მიხედვით—1424-ჯერ, იმ არეს მიხედვით, რომელსაც ისინი ამუშავებდენ—1562-ჯერ (ტრაქტორთა საერთო რიცხვი დღეს უდრის 175.000).

ასევე იზრდებოდა საერთო ნათესების ფართობი: 1928 წ.—112.294.400 ჰექტარი, 1929 წ.—118.044.700 ჰექტარი, 1930 წ.—127.217.800 ჰექტარი, 1931 წ.—136.284.800 ჰექტარი და 1932 წ.—134.611.000 ჰექტარი. აქედან სოციალისტურ სექტორზე მოდის (1932 წ.) 105.000.000 ჰექტარი ნათესი, პურის პროდუქციის 77 პროც., შაქრის ჭარხლის და ბამბის 85 პროც., სელის 64 პროცენტი.

კოლმეურნე გახდა ჩვენი მიწადმოქმედების ცენტრალურ ფიგურად. კოლექტივიზაციის და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის საფუძველზე გადაჭრილია ხორბლეულის პრობლემა და იჭრება მესაქონლეობის პრობლემა. მორიგ ცენტრალურ ამოცანად სოფლის მეურნეობის დარგში დასახულია ბრძოლა მაღალი მოსავლიანობისათვის, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების ყოველმხრივი განმტკიცება, ბრძოლა სოციალისტური მიწადმოქმედების მაღალი ხარისხისათვის.

ეს უდიდესი გამარჯვება სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის დარგში უზრუნველყოფილი იქნა ჩვენი პარტიის ლენინურ ცეკას სწორი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით ამხ. სტალინის მეთაურობით.

ამხ. სტალინის ექვსი ისტორიული მითითების რეალიზაციისათვის ბოლშევიკური ბრძოლის გაშლა წარმოადგენს ჩვენს მიერ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში აღებული [illegible] ქვაკუთხედს. ამ ბრძოლით აღზრდილი იქნა ახალი ასი ათასეული მებრძოლები სოციალიზმის მშენებლობისათვის გადიდებული იქნა შრომის ნაყოფიერება და მუშის რეალური ხელფასი, გაუმჯობესდა მშრომელთა საცხოვრებელი დონე. ცეკას სექტემბრის პლენუმის დადგენილების განხორციელებამ საბჭოთა ვაჭრობის გაშლის და ფართო მოხმარების საგნების წარმოების შესახებ და ცეკას და სახკომსაბჭოს უკანასკნელმა დადგენილებებმა მოხმარების დამორჩილების შესახებ წარმოების ინტერესებისათვის, უნდა მოგვცეს იმათი მდგომარეობის და მომარაგების შემდგომი გაუმჯობესება, ვინც ნამდვილად იბრძვის საწარმოო გეგმების შესრულებისათვის.

ჩვენმა წარმატებებმა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე არაჩვეულებრივად გაზარდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო რევოლიუციონური მნიშვნელობა:

12 წლის წინ ლენინი აღნიშნავდა:

„ახლა მთავარ ზეგავლენას საერთაშორისო რევოლიუციაზე ჩვენ ვახდენთ ჩვენი სამეურნეო პოლიტიკით“.

ეს სიტყვები კიდევ უფრო სამართლიანია ამჟამად, როცა, როგორც კომინტერნის აღმასკომის პლენუმმა აღნიშნა, კაპიტალიზმის სტაბილიზაცია უკვე დამთავრდა, როცა კაპიტალისტურ მსოფლიოს აღრჩობს გამოუვალი საფინანსო-სამრეწველო და აგრარული კრიზისი, საშინაო და საგარეო წინააღმდეგობანი, საბჭოთა კავშირში კი დამთავრებულია სოციალისტური საძირკვლის აგება და ის განმტკიცდა სოციალისტურ საფუძველზე.

თუ საბჭოთა კავშირის მიერ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მიღწეული გამარჯვებები კბილთა ღრჭენას და ველურ სიძულვილს იწვევენ ჩვენი მტრების — [illegible] და ნაციონალ-ფაშისტური ლაქიების ბანაკში, ჩაგრულთა და გაყვლეფილთა სამყარო—მსოფლიო მუშათა კლასი და კოლონიების და ნახევრად კოლონიების ხალხები ჩვენ შემოგვყურებენ სიყვარულით, იბრძვიან მეტი შეუპოვრობით და იმედით თავიანთ სოციალისტური და ნაციონალური განთავისუფლებისათვის

იმ დიად მშენებლობაში, რომელიც საბჭოთა კავშირში სწარმოებს კერძოთ პირველ ხუთწლედის მანძილზე, ერთი საპატიო ადგილთაგანი უჭირავს საბჭოთა საქართველოსაც.

ლენინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ თავისი გამოხატულება ჰპოვა იმაში, რომ საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალთა გიგანტურ ზრდას ახასიათებს ამ საწარმოო ძალების ისეთი განაწილება, და განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს მეფის დროს ჩამორჩენილ კუთხეების არაჩვეულებრივ ეკონომიურ და კულტურულ ზრდას, უფრო ძლიერს, ვიდრე ყოფ. რუსეთის იმპერიის ცენტრალურ რაიონებზე მოდის. ამის თვალსაჩინო დამამტკიცებელია საბჭოთა საქართველოს სამეურნეო ზრდა პირველი ხუთწლედის განმავლობაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, უფრო სწორად რომ ვსთქვათ—პირველი ხუთწლედის განხორციელების დაწყებამდე მძიმე მრეწველობა თითქმის სრულიად არ არსებობდა, თუ არ ჩავთვლით მარგანეცის წარმოებას, პირველი ხუთწლედი მტკიცე საძირკველს უყრის მძიმე მრეწველობას საქართველოში. თუ ხუთწლედის დაწყებამდე—1927-28 სამეურნეო წელში საქართველოს მძიმე მრეწველობის პროდუქციის ღირებულება უდრის 19 მილიონ მანეთს, 1932 წ. ის აღწევს 140 მილიონ მანეთს, ე. ი. იზრდება 7-ჯერ უფრო მეტად. სწრაფად იზრდება ელექტროენერგიის გამომუშავება—4,5 მილიონ კილოვატ საათიდან 1927-28 წელში 85,5 მილიონ კილოვატ საათამდე 1932 წელს. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ საბჭოთა კავშირის დახმარებით შესძლეს ის, რაც ვერავინ ვერ შესძლო ჩვენში—ნავთის საბადოების ექსპლოატაციის გადაყვანა სამრეწველო რელსებზე. ჭაბურღილების კოშკები მირზაანში და შირაქში წარმოადგენენ ჩვენს მიერ ნავთის ფრონტზე მიღწეულ გამარჯვებების თვალსაჩინო ილიუსტრაციას; გაიზარდა ჩვენი ნახშირის მრეწველობა: ტყიბულის მაღაროებმა, სადაც ნახშირის ამოღება ომამდე არ აღმატებოდა 70-72 ათას ტონას, 1932 წელს მოგვცეს 200.000 ტონა ქვანახშირი. ტყიბულის გვერდით იქმნება ახალი საქვანახშირო რაიონები—ტყვარჩელში და ახალციხეში, მარგანეცის პროდუქცია თუმცა შედარებით შემცირდა იმ მიზეზით, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში გამეფებულ მძაფრი კრიზისის გამო დაიკლო მისმა ექსპორტმა, მაგრამ მისი პროდუქცია კვლავ გაიზრდება ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხნის ამუშავების შემდეგ. უდიდესი წარმატებები გვაქვს მიღწეული მანქანათმშენებლობის დარგში, რომლის ჩანასახიც კი არ მოიპოვებოდა ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდი. ახლა ჩვენში მზადდება მანქანები და მოწყობილობა აბრეშუმის [illegible]ბისათვის, ჩაის მრეწველობისათვის, მევენახეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებისათვის. ხუთწლედის (ოთხი წლის) განმავლობაში საქართველოს მანქანათმშენებლობამ გათვალისწინებული 33,9 მილიონ მანეთის პროდუქციის ნაცვლად მოგვცა 38 მილ. მანეთის პროდუქცია. ასევე გაიზარდა საამშენებლო და მინერალური სამადნო მრეწველობაც.

მთელს ჩვენს მძიმე მრეწველობას 5 წლის განმავლობაში გეგმით უნდა მოეცა 197 მილიონ მანეთის პროდუქცია, სინამდვილეში კი 4 წელ-წადში მოგვცა 327 მ[illegible] მანეთის პრო[illegible]ა.

მნიშვნელოვანი წარმატებები გვაქვს მსუბუქ მრეწველობაში (ტყავის, საფეიქრო, სამკერვალო და სხვ.), რომლის პროდუქცია 21.4 მილიონ მანეთიდან 1928-29 წელში გაიზარდა 80,9 მილიონ მანეთამდე 1931 წელში.

განსაკუთრებით დიდია ჩვენი წარმატებები საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნაში, ახალი განვითარებული მიწადმოქმედების შექმნაში, ნაცვლად წვრილი, დაქუცმაცებული „მამაპაპური“ სოფლის მეურნეობისა, მენშევიკებმა თავისი „აგრარული“ თავადაზნაურული პოლიტიკით გაპარტახებამდი მიიყვანეს საქართველოს ისედაც ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა: მარცვლოვანი ნათესების ფართობი შემცირდა 1920 წელში (1913 წელთან შედარებით) 697.900 ჰექტარიდან 479.800 ჰექტარამდე, თამბაქოსი—10.444 ჰექტარიდან 1457 ჰექტარამდე, ბამბის—8.193 ჰექტარიდან—0-მდე, ვენახის—45.000 ჰექტარიდან 30.000 ჰექტარამდე.

ეს დანგრეული სოფლის მეურნეობა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს იწყებს წელში გამართვას და განვითარების ფართო გზაზე სდგება. ეს მოხდა იმის წყალობით, რომ ჩვენ შევძელით სოფლის მეურნეობისათვის მამაპაპური კავის ნაცვლად მიგვეცა გაუმჯობესებული სასოფლო სამეურნეო მანქანები. ამჟამად სოფლის სოციალისტური სექტორის განკარგულებაში მოიპოვება 1300 ტრაქტორი, რომელთა ძალოვნობა 20.000 ცხ. ძალას უდრის. 22.500 კულტივატორი, 700 სალეწი მანქანა, 1425 სათიბი მანქანა, 710 ტრიერი 2700 სათესი მანქანა და სხვ. სოფლის მეურნეობის ტეხნიკურ შეიარაღებასთან ერთად სწარმოებდა მოსავლიან და შრომის ტევად ტეხნიკური კულტურების მტკიცე დანერგვა ჩვენს სასოფლო მეურნეობაში ([illegible], ჩაი, ბამბა, [illegible], ციტრუსოვანი კულტურები და სხვ.). პროლეტარული სახელმწიფო დიდძალ თანხებს ხარჯავს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნაზე, თუ 1931 წ. კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურნეობაში შეადგენდა 71.870 ათას მანეთს, 1932 წ. იგი უდრიდა 124.865 ათას მანეთს.

ხუთწლიანი გეგმით 1933 წლისათვის საქართველოში უნდა გვქონებოდა 52 საბჭოთა მეურნეობა 62.106 ჰექტარ ნათესით; სინამდვილეში კი გვაქვს 166 საბჭოთა მეურნეობა 252.062 ჰექტარ ნათესით; კოლმეურნეობათა რიცხვი 1924 წლის 11 მეურნეობიდან გაიზარდა 3417 კოლმეურნეობამდე 1932 წ., რომლებიც 264 მეურნის ნაცვლად (1924 წ.) გაერთიანებულია 165.669 მეურნე. ამ წარმატებებს საბჭოთა საქართველომ მიაღწია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, იმ შეურიგებელი ბრძოლის წყალობით, რომელსაც პარტია აწარმოებდა ორ ფრონტზე—მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტების წინააღმდეგ საკ. კომპარტიის (ბ) ცეკას და პარტიის ბელადის ამხ. სტალინის დირექტივებით.

შედის რა 1933 წელში საბჭოთა საქართველო მთელს საბჭოთა კავშირთან ერთად კიდევ უფრო გააძლიერებს ბრძოლას უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგებისათვის, ამიერ-კავკასიის ფედერაციის ძლევამოსილების გაძლიერებისათვის მასში შემავალ რესპუბლიკების თვითმოქმედების საფუძველზე, საბჭოთა კავშირის ძლევამოსილების განმტკიცებისათვის, მე-17 პარტკონფერენციის მიერ მეორე ხუთწლედში დასახულ ძირითად პოლიტიკური ამოცანის განხორციელებისათვის.

„კონფერენცია სცნობს, რომ მეორე ხუთწლედის ძირითად პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების საბოლოო ლიკვიდაცია, იმ მიზეზების სავსებით აღმოფხვრა, რომლებიც წარმოშობენ კლასობრივ განსხვავებას და ექსპლოატაციას, კაპიტალიზმის ნაშთების გადალახვა ეკონომიკასა და ადამიანების შეგნებაში და ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის გადაქცევა უკლასო სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ მშენებლებად.

პარაზიტული კლასობრივი ელემენტების ლიკვიდაციის და იმ სახალხო შემოსავლის საერთო ზრდის საფუძველზე, რომლებიც მთლიანად გადადის მშრომელთა განკარგულებაში, მიღწეული უნდა იქნას მუშათა და გლეხთა მასების კეთილდღეობის უფრო სწრაფი ზრდა“.

„მეორე ხუთწლედის ძირითად და გადამწყვეტ სამეურნეო ამოცანას წარმოადგენს მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამთავრება და უახლესი ტეხნიკური ბაზის შექმნა სახალხო მეურნეობის ყველა დარგებისათვის. ხელმძღვანელი როლი ტეხნიკური რეკონსტრუქციის დამთავრების საქმეში ეკუთვნის საბჭოთა მანქანათმშენებლობას“.

შრომის სოციალისტური ენტუზიაზმით გამხნევებული საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები საკ. კ. პ. (ბ) და მისი გამობრძმედილი ბელადის ამხ. სტალინის ურყევი ხელმძღვანელობით, შეურიგებელი ბრძოლით კლასობრივ მტრებთან და მათ აგენტებთან—მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტებთან უზრუნველყოფენ მე-17 პარტკონფერენციის ამ დირექტივის განხორციელებას, უზრუნველყოფენ უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგებას მეორე ხუთწლედში, რომელსაც ვიწყებთ დღეს.

გაუმარჯოს დიად სამუშაოთა გეგმას მეორე ხუთწლედს.

## პირველი ხუთწლედის გამარჯვებები




ელექტროენერგიის გამომუშავების მხრივ საბჭოთა კავშირს 1928 წელს მსოფლიოში ეჭირა მე-8 ადგილი, 1932 წელს დაიჭირა მე-5 ადგილი. ქიმიის დარგში მე-8 ადგილიდან გადავიდა მე-4 ადგილზე, ქვანახშირის დარგში — მე-6-დან მე-4 ადგილზე, თუჯის ხაზით — მე-6 ადგილის ნაცვლად დაიჭირა მე-2 ადგილი მსოფლიოში და პირველი ევროპაში. საერთო მანქანათმშენებლობის მხრივ ეჭირა მე-4 ადგილი მსოფლიოში, ახლა უჭირავს მე-2 ადგილი მსოფლიოში და პირველი—ევროპაში. ნავთის ხაზით მე-3 ადგილის ნაცვლად მსოფლიოში დაიჭირა მე-2 ადგილი მსოფლიოში და პირველი—ევროპაში. ტრაქტორების მშენებლობა დავიწყეთ არაფრიდან და ამჟამად გვიკავია პირველი ადგილი მსოფლიოში. პირველი ადგილი გვიკავია აგრეთვე სასოფ.-სამეურნეო მანქანების და ტორფის წარმოების დარგში. („პრავდა“).

# „მეორე ხუთწლედის ძირითადი და მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამთავრება, უახლოესი

## ქარხანა, რომელიც აკეთებს ფაბრიკებს

პირველ ხუთწლედში საქართველოში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მსუბუქ მანქანათმშენებლობას. ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო ბევრისათვის. იყვნენ უცხოეთის ტექნიკის ცილწევებით ალტაცებულნი, რომლებსაც არ სწამდათ ჩვენი მუშათა კლასისა და მოწინავე სპეციალისტების შემოქმედებითი უნარიანობა, არ სჯეროდათ, რომ ჯერ კიდევ თავის განვითარების დასაწყის საფეხურზე მყოფი საქ. ლითონის მრეწველობა შეიძლებდა ისეთ დიდი სა- წედლი ჩაის დიდი მარაგი ეხლაც ინგლისის ფაბრიკებში მიაქვთ გადასამუშავებლად.

ჩვენი ჩაის მეურნეობის განვითარებაც, მანქანების მხრივ, უმთავრესად ინგლისის მანქანათმშენებლობაზე იყო დამოკიდებული. ჩაის გადასამუშავებელ მანქანებშიაც ვაძლევდით ვალიუტას, ვაძლევდით, რადგან იძულებული ვიყავით.

ასე იყო პირველი ხუთწლედის დასაწყისამდე. **პირველი ხუთწლედის ბოლოს ჩვენ აღარ შემოგვაქვს არც**



აბრეშუმის ძაფსახვევი, ავტომატიანი მანქანა, რომელიც შემოგვქონდა იტალიიდან. თვითეულ ასეთ მანქანაში ვიხდიდით 2.720 მანეთს ოქროთი.

ამჟამად აღნიშნული სისტემის ოცზიან მანქანებს ამზადებს 26 კომუნ. სახელობის ქარხანა (თბილისში). მანქანებს აწოდებენ საბჭოთა კავშირში არსებულ ყველა აბრეშუმის ძაფსახვევ ქარხნებს. თვითეული მანქანის დამზადება ჯდება 5—6 ათასი მან.

ქრეს, როგორიცაა ახალი მანქანების დამზადება და უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება.

ხისამდვილით მათ დასცინა.

საქართველოს ლითონის მრეწველობის მუშებმა და სპეციალისტებმა, მუშათა კლასის ავანგარდის — ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით, შეიძლეს უდიდესი გამარჯვების მოპოვება ამ დარგში, შეიძლეს მსუბუქი მანქანათმშენებლობის წარმოების მოგვარება.

**წყალსადინების მოწყობილობები (წყალსაქაჩები, ტურბინები და სხვ.), ელექტრო - მანქანები, ჩაის ფაბრიკებისათვის საჭირო მოწყობილობები, აბრეშუმის ფაბრიკებში საჭირო რთული მანქანები — ყველაფერი ეს ახლა თბილისში მზადდება.** ჩაის და აბრეშუმის ფაბრიკებისათვის საჭირო მანქანების დამზადება სწარმოებს მთლიანად თბილისში. თბილისის ქარხნებს დავალებული აქვთ სახალხო მეურნეობის ამ ორ დარგში საჭირო მანქანებით უზრუნველყონ მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება. ეს პატარა ამოცანა როდია.

მეაბრეშუმეობა ვითარდება — საქართველოში, სომხეთში, აზერბეიჯანში, თურქესტანში და საერთოდ შუა აზიაში. ყველგანაა საჭირო აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკების მოწყობა. ბევრგან ასეთი ფაბრიკები ამჟამადაც შენდება, ბევრგან მომავალ წლებს უნდა აშენდეს. ყველგანაა საჭირო **აბრეშუმის პარკის დამხარისხებელი მანქანები, აბრეშუმის ჭიის კვების მექანიზაცია.**

მეორეს მხრივ ჩაის კულტურამ ჩვენში დიდი ადგილთაგანი დაიკავა. ჩაის მეურნეობა ვითარდება გიგანტური ნაბიჯებით. მატულობს ჩაის პლანტაციების ფართობი, საჭირო ხდება ჩაის ფაბრიკების ქსელის გაშლა, საჭიროა ახალი ფაბრიკებისათვის მანქანების მოწყობა. ამოცანა კიდევ უფრო დიდია: შუა-აზიაში საფუძველი ეყრება ჩაის კულტურას. სწარმოებს ცდები და ეს ცდები კარგ შედეგებს იძლევიან. იქაც საჭირო გახდება ჩაის ფაბრიკების აგება.

აბრეშუმის გადასამუშავებელი მანქანების სამშობლოთ იტალია ითვლება. იქ მზადდება და იქიდან შემოგვქონდა ჩვენც „ჯინი-კრინის“, „ხატილიას“, „ვიტორიუსი“-ს და მთელი რიგი სხვა სისტემების მანქანები, ვიხდიდით ოქროს, ვალიუტას. ჩაის ფაბრიკებისათვის საჭირო მანქანები უმთავრესად ინგლისური წარმოშობისაა. ჩაის სამშობლოში — ჩინეთში მოყვანილი

ხელობის მექანიკური ქარხანა არ იყო ისეთი, როგორიც დღესაა. ვის არ ახსოვს, თბილისის არსენალი? 1918 წელს, მენშევიკურმა ჯალათებმა აქედან ტყვიამფრქვევის ცეცხლით გამორეკეს ბოლშევიკი მუშები. აქ ამზადებდნენ მენშევიკები იარაღს, რომ შემდეგ აეოხრებიათ სამხრეთოსეთის, სამეგრელოს, ლეჩხუმის და მოძმე სომხეთის სოფლები, რომ აეწიოკებიათ უდანაშაულო მოსახლეობა. საბჭოთა ხელისუფლებას მემკვიდრეობათ დარჩა გაძარცული და გაპარტახებული საწარმოები, ფაბრიკები, ქარხნები. მათ შორის გაპარტახებული და გაძარცული თბილისის არსენალიც. საჭირო იყო მისი აღდგენა, მაგრამ არა, [illegible]რც მარტო არსენალის, არამედ როგორ[illegible] წარმოსი, ქარხნის.

არსენალის ყოფილი კორპუსები ხმაურმა მოიცვა. ააწყეს ძველი მანქანები, შეაკეთეს გაფუჭებულები, გაასწორეს ტრანსმისიები, ჩამოაყალიბეს ცალკე საამქროები, მოიტანეს ახალი მოწყობილობებიც და ქარხანა [illegible]

ბელი მანქანა. თვითეულ ასეთ მანქანაში ჩვენ ვიხდიდით 2.000 მანეთზე მეტი რაოდენობის ვალიუტას. მარტო 1932 წლის განმავლობაში გამოშვებულია 2 ცალი „ვიტორიუსის“ სისტემის მანქანა; რომელიც უკანასკნელ წლებამდე იტალიიდან შემოგვქონდა. მანვე გამოუშვა ე. წ. ამტყორცელი მანქანები 211 ცალი, აბრეშუმის ჭიის მექანიკურად საკვებავი მანქანები, „ხიროკკო“-ს სისტემის ჩაის დამახარისხებელი მანქანები — 16 ცალი (მარტო 1932 წლის განმავლობაში), ჩაის სანიავებელი მანქანები — 8 ცალი, ჩაის საკუპაჟო მანქანები — 8 ცალი (ძვირფასი მანქანებია, ღირს 8.000 მანეთამდე ოქროთი) და სხვ.

ორჯონიკიძის სახელობის მექანიკური ქარხანა დღეს უკვე ამზადებს ყველა იმ მანქანებს და მოწყობილობებს, რაც ძირითადად საჭიროა აბრეშუმის ძაფსაღები და ჩაის გადასამუშავებელი ფაბრიკებისა- [illegible]

[illegible] დახვა დარგებს. ქარხნის მოწინავე მუშები და ინჟინერ - ტექნიკოსები დაუღალავათ შრომობდენ, შეუსვენებლივ იბრძოდნენ პირველი ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად და მათ კიდეც მიაღწიეს ბრწყინვალე გამარჯვებას. **პირველი ხუთწლედის გეგმა მათ შეასრულეს გასული 1932 წლის 1-ლი ოქტომბრისათვის.** ხუთწლედში ქარხანას უნდა მოეცა 5.535.000 მანეთის პროდუქცია, ხოლო ნამდვილად მან 3 წელიწადსა და 9 თვეში მოგვცა 5.714.900 მანეთის პროდუქცია. 1932 წლის მეოთხე კვარტალში ქარხანა მუშაობდა პირველი ხუთწლედის გადაჭარბებაზე.

პირველი ხუთწლედის განმავლობაში ორჯონიკიძის სახელობის მექანიკურმა ქარხანამ მოგვცა 150 ცალი „ჯინი-კრინი“-ს სისტემის აბრეშუმის პარკის დამხარისხე- ბული, მაგრამ დიდი დაბრკოლებებით მთავარი დაბრკოლება მდგომარეობს იმაში, რომ ქარხანას არ აქვს ყველა ის საჭირო მოწყობილობები, რაც აუცილებელია მსუბუქ მანქანათმშენებლობისათვის. ინჟ. ყანდარელი, ორჯონიკიძის ქარხნის — მთავარი ტექნიკური ხელმძღვანელი სიხარულით აღნიშნავს, რომ მეორე ხუთწლედში, ეს ქარხანა შეიძენს ყველა საჭირო მოწყობილობებს და კიდევ უფრო გააუმჯობესებს მანქანების გამოშვების საქმეს.

მეორე ხუთწლედში ამ ამოცანის შესრულება უფრო ადვილი იქნება, ვიდრე პირველ ხუთწლედში იყო, რადგან ჩვენ აღარ მოგვიხდება მოწყობილობების უცხოეთიდან შემოტანა, ასეთი მოწყობილობები ეხლა საბჭოთა კავშირშივე მზადდება. ჩვენი, საკავშირო მძიმე მანქანათმშენებლობა უზრუნველყოფს მსუბუქ მანქანათმშენებლობის შემდგომ განვითარებას.

**აბრეშუმის და არც ჩაის მანქანები, აღარ ვიხდით ვალიუტას, რადგან ჩვენში დამზადებული მანქანები არც ნაკლები ღირსებისაა და ტექნიკურადაც ისინი უფრო გამართულნი და უფრო ადვილათ გამოსაყენებელია.**

1928 წელს საქართველოს აბრეშუმის ტრესტმა დააყენა საკითხი მაშინდელ ს.მ.უ. საბჭოს წინაშე, რომ მივლინებული ყოფილიყვნენ სპეციალისტები იტალიაში. აბრეშუმის მრეწველობისათვის საჭირო რთული მანქანების წარმოებასთან გასაცნობათ, სათანადო ნახაზების შესადგენათ, რომ ამ ნახაზების საშუალებით და მივლინებიდან დაბრუნებული სპეციალისტების დახმარებით, ადგილობრივადვე დამზადებულიყო ახალი მანქანები. ს. მ. უ. საბჭომ მოიწონა ასეთი წინადადება და ჩქარა რამოდენიმე ჩვენებური სპეციალისტი იტალიაში გაემგზავრა. მრავალი დაბრკოლებების შემდეგ მივლინებულებმა შესძლეს დავალების შესრულება. იტალიელი კაპიტალისტები, რა თქმა უნდა, არ იყვნენ იმის მომხრე, რომ საბჭოთა კავშირში—საქართველოში მოეგვარებიათ აბრეშუმის მრეწველობისათვის საჭირო მანქანების წარმოება, რადგან ამით ისინი კარგავდნენ ერთ-ერთ დიდსა და ყველაზე უფრო ხელსაყრელ ბაზარს. იტალიელი კაპიტალისტი — მწარმოებლების „საიდუმლოება“ მაინც ცნობილი გახდა ჩვენებური სპეციალისტებისათვის. ჩამოიტანეს ნახაზები და თვით მანქანებიც.

ჩამოიტანეს ჩაის მანქანები ინგლისიდანაც.

საჭირო იყო ამ მანქანების დარღვევა, თვითეული ნაწილის შესწავლა, ნახაზების დამზადება.

ვის უნდა შეესრულებია ტექნიკურათ ეს საქმე, თუ არ საქართველოს ლითონის მრეწველობის ქარხნებს?

დავალება მიეცა ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის მექანიკურ ქარხანას:

— თქვენ უნდა შეუდგეთ მსუბუქ მანქანათმშენებლობას, თქვენ უნდა დაამზადოთ აბრეშუმის და ჩაის მანქანები, თქვენ უნდა გაანთავისუფლოთ საბჭოთა კავშირი უცხოეთიდან აღნიშნული მანქანების შემოტანის აუცილებლობისაგან.

— არის! იყო პასუხი და დღეს ორჯონიკიძის სახელობის ქარხანას უკვე ბრწყინვალეთ აქვს შესრულებული პირველ ხუთწლედში ნაკისრი ვალდებულებები.

1928 წელში, ე. ი. 1-ლი ხუთწლედის დასაწყისისათვის, ამხ. ს. ორჯონიკიძის სა-



აბრეშუმის პარკის მექანიკური დამხარისხებელი „ჯინი კრინი“-ს სისტემის მანქანა. მანქანა დამზადებულია და მისი მასიური გამოშვება სწარმოებს ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. მექანიკურ ქარხანაში. აღნიშნული სისტემის მანქანები ამ ორიოდე წლის წინათ შემოგვქონდა იტალიიდან და თითო მანქანა გვიჯდებოდა 2.000 მანეთამდე ოქროთი. ორჯონიკიძის ქარხანაში დამზადებული „ჯინი კრინი“-ს სისტემის მანქანები იტალიურზე უკეთესია და ერთი საქართველოს თვითღირებულება არ აღემატება 1.100 მანეთს.

აღნიშნული მანქანების გამოშვება ქარხანამ დაიწყო 1930 წლის ბოლოდან 1-ლი ხუთწლედის დასასრულამდე გამოშვებულია 150 ცალი ასეთი მანქანა.

## აჭარის შაქრის ქარხანა

**ქარხანა ამუშავდება 20 იანვარს. — ქარხნის წლიური პროდუქცია გათვალისწინებულია —2.520.000 ცენტნერი შაქრის რაოდენობით. — პირველ წელიწადს მივიღებთ 10.540 ცენტნერ შაქარს.**

მას აქეთ ორი წელს არც კი გაუვლია. მანამდე აქ ნახირს აძოვებდნენ თავისქინდრული ხარკამეჩები ჭაჭანწყვეტით და ზლაზნით მიათრევდნენ „მამა-პაპურ“ გუთანს. ითესებოდა პური და სიმინდი. რა იყო ტექნიკური კულტურა — ამაზე ქართველ გლეხს ხომ წარმოდგენაც არ ჰქონდათ.

და... მოვიდნენ სპეციალისტები მუშებთან ერთად, გაისინჯა ველი, გაზომეს არე, შეამოწმეს ნიადაგი; გადაწყდა. აქ უნდა იქნას აგებული პირველი შაქრის ქარხანა საქართველოში; დაჰკრეს ბარი, დაიწყო მუშაობა, ამოითხარა პირველი ქვაბული მომავალი გიგანტის საძირკვლის ჩასაყრელად.

ეს მოხდა 1931 წლის 6 ივლისს. მას აქეთ მხოლოდ 18 თვემ განვლო.

დაწყებული მუშაობა გაიშალა, მშენებლობა იზიდავდა მუშების ასეულებს, აგურის აგური იდებოდა, ქვას — ქვა, ცემენტი, თოლადი, რკინა, ელექტრონი, ტექნიკა და შრომა — დაეუფლენ არე-მარეს, გაძევებულ იქნა გუთანი — ჩვენი ჩამორჩენილობის უკანასკნელი სიმბოლო. ახმაურდა აგარის ველი. იბრძოდნენ მუშები და ამ ბრძოლის შედეგად დღეს ამ ველზე ინდუსტრიალური ქალაქი გაშენდა.

აგარა — ოდესღაც ყრუ, ყველასაგან მივიწყებული, დღეს ცნობილია მთელს საბჭოთა კავშირში.

დღეს აქ დაწყებული დიადი შრომა და ბრძოლა დასასრულს უახლოვდება.

თვრამეტი თვე ებრძოდა ელექტრობა ლითონს; აღნობდა მას და ადუღებდა ნაკვეთს — ნაკვეთზე; თვრამეტი თვის განმავლობაში სჭიჯგნიდა პნევმატი ლითონს. რომ უფრო იოლად დაეკავშირებიათ კონსტრუქციები ერთმანეთთან. სამი ათასი კილომეტრის დაშორებით, მოძმე უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკაში, ამზადებდნენ მანქანებს ჩვენი გიგანტისათვის. ეხლა ეს მანქანები მიღებულია. მთელი დღე-ღამის განმავლობაში სწარმოებს მუშაობა, აგარის ველზე; მთავრდება რკინის კონსტრუქციათა მონტაჟი და მიღებულ მანქანების დადგმა; მთავრდება აგრეთვე ზოგიერთ დამხმარე მშენებლობათა აგება.

**1933 წლის 20 იანვარს ამუშავდება საქართველოს პირველი შაქრის ქარხანა აგარაში — პირველი ხუთწლედის პირმშო —ასეთია მშენებლობის უფროსის —ინჟინერ ამხ. შალმანოვის განცხადება.**

**ძირითადი საწარმოო კადრებით, ქარხანა უზრუნველყოფილია.**

ქარხანა დღე-ღამეში გადაამუშავებს 10.000 ცენტნერ ჭარხალს, რაც მოგვცემს 7.000 ცენტნერ შაქარს. ქარხნის წლიური ნაყოფიერება იქნება 2.520.000 ცენტნერი შაქარი.

ახალმა წარმოებამ რევოლიუცია მოახდინა ქართლის სასოფლო მეურნეობაში. ქართლი, რომელიც აქამდე პურისა და სიმინდის გარდა არაფერს იცნობდა, დღეს შაქრის ჭარხალს თესავს. გორის, სტალინირის და კასპის რაიონების კოლმეურნე გლეხები ასეულ ჰექტარებზე სთესენ შაქრის ჭარხალს.

ჭარხლის თესვის პირველი შედეგები უკვე არის. კოლმეურნეებმა აგარის საბჭოთა მეურნეობასთან ერთად გასულ წელს ამოიღეს 68.000 მეტრიული ცენტნერი ჭარხალი. ეს პირველი საცდელი ხასიათის მოსავალია, რაც იძლევა იმის [illegible] იმედს, რომ ჩვენი კოლმეურნე გლეხობა სავსებით დაეუფლება ამ კ[illegible] და შემდეგ წლ[illegible] მოგვცემს მოსავლის მაქსიმუმებს. კერძოდ 1933 წელს მოსავალი ნავარაუდევია ყველა სექტორებში 410 ათასი ცენტნერის რაოდენობით.

პირველ წელიწადს ჭარხლის მოსავალი ნაკლები იყო. ეს აიხსნება ჭარხლის კულტურის სიახლით სათანადო გამოცდილების უქონლობით და აგრო - ტექნიკური ხელმძღვანელობის სისუსტით, მაგრამ ყოველივე ეს იოლად იქნება დაძლეული. ამას მოწმობს კოლმეურნე და ინდივიდუალურ მეურნე გლეხების საერთო განწყობილება: ისინი უაღრესად არიან დაინტერესებული შაქრის ჭარხლის ფართოდ გავრცელებით.

წელს ქარხნის ამუშავებას საცდელი ხასიათი ექნება. პირველი წლისათვის მისი დღიური ნაყოფიერება გაანგარიშებულია 8.000 - ცენტნერი ჭარხლის გადამუშავებით, რაც მოგვცემს პროდუქციას (ფხვნილი შაქრის სახით) 1240 ცენტნერის რაოდენობით. საერთოდ ჭარხლის მთელი მოსავლიდან (68.000 ცენტნერი) წელს მივიღებთ 10.540 ცენტნერ (1054 ტონა) შაქარს.

ურთულესი მუშაობა ჩატარებულია; პროლეტარულმა ნებისყოფამ და ენტუზიაზმმა პარტიის მტკიცე სწორი და ბოლშევიკური ხელმძღვანელობით გადალახა ყოველგვარი დაბრკოლებები, დაეუფლა რთულ ტექნიკას საქარხნო მშენებლობის დარგში და 18 თვის განმავლობაში ჩვენი ინდუსტრიალური ცხოვრება გაამდიდრა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმოებით.

პირველმა ბოლშევიკურმა ხუთწლედმა ინდუსტრიალიზაციის გზაზე შემდგარ სოციალისტურ საბჭოთა საქართველოს გიგანტებს შემატა კიდევ ერთი ახალი გიგანტი.

ა. კელენჯერიძე.

## სტალინელების ზეიმი

დამთავრდა პირველი ბოლშევიკური ხუთწლედი, ბრძოლისა და გამარჯვების ბრწყინვალე ეტაპი. პროლეტარიატი ზეიმობს თავის გამარჯვებას, ანგარიშს აბარებს პარტიას და ხელისუფლებას, სინჯავს თავის რიგებს, რომ უფრო მეტის ენერგიით, უფრო მეტის ენტუზიაზმით შეუდგეს უკლასო საზოგადოების შექმნის მეორე ხუთწლედს.

სტალინელებიც, თბილისის პროლეტარიატის ეს მოწინავე რაზმიც ზეიმობენ ამ დიად ისტორიულ დღეს. მათ სახელოვნად შეასრულეს პირველი ხუთწლედი ოთხ წელში და ეხლა აჯამებენ ამ მიღწევებს.

ამისათვის შეიკრიბენ ქარხნის დამკვრელები გუშინ პლეხანოვის სახელობის კლუბში. ქარხნის დირექტორი ამხ. ბ. **არუთინოვი** ახდენს გამარჯვების ციფრთა დემონსტრაციას: ქარხანას ხუთწლიანი გეგმის თანახმად უნდა გამოეშვა შეკეთებიდან 771 ორთქლმავალი, 1.193 სახალხო და 14.737 საბარგო ვაგონი; მაგრამ სახალხო მეურნეობის ზრდამ გამოიწვია ამ გეგმის გადიდება. ქარხანას მიეცა დავალება, გამოეშვა 1.000 ორთქლმავალი, 2.235 სახალხო და 16.869 საბარგო ვაგონი.

ეს დავალება ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა: ორთქლმავლების შეკეთების გეგმა შესრულებულ იქნა 101,8 პროც., სახალხო ვაგონების — 108,6 პროც. და საბარგო ვაგონების — 106,7 პროც.

ასეთია მოკლედ გამარჯვების ციფრები.

პარტია და პროლეტარული საზოგადოებრივობა სათამადოდ აფასებენ ენტუზიასტების თავდადებულ შრომას.

პარტიის თბილისის კომიტეტის დადგენილებით ქარხანა წარდგენილია საპატიო ჯილდოზე — შრომის წითელი დროშის ორდენზე, ასეთივე ჯილდოზეა წარდგენილი ქარხნის დირექტორი ამხ. ბ. **არუთინოვი** და ძველი მუშა ამხ. **სოლ. ფოფხაძე.** ნივთიერ ჯილდოზე არიან წარდგენილი: ქარხნის მთავარი ინჟ. ამხ. **ხოჯაშვილი**, ინჟ. **მატინიანი** და **ივანცოვი** და საუკეთესო დამკვრელი მუშები—პირველი ხუთწლედის გმირები ამხ. **ჩიჩინაძე** (სადურგლო საამქროდან), ამხ. **შავლაძე** (საქვაბე საამქროდან), ამხ. **ბაღლუმიანი** (სახარატო საამქროდან) და ამხ. **დობროვსკი** (სამონტაჟოდან).



ამხ. სტალინის სახ. სარემონტო ქარხნის სამჭედლო საამქროს ხელოსანი ამხ. **ციციანი.** დაჯილდოვებულია დამკვრელური მუშაობისათვის

## საქართველოს მძიმე მრეწველობა
### (პირველი ხუთწლედის შედეგები)

პირველი ხუთწლედის მეოთხე წლის დასასრულს მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად ვაჯამებთ საქართველოს მძიმე მრეწველობის ზრდის შედეგებს. არსებითად პირველ ხუთწლედამდე საქართველოში არ ყოფილა მძიმე მრეწველობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჭიათურის მარგანეცს. საბჭოთა კავშირის ყველა ნაციონალურ რესპუბლიკებს და რაიონებს ოქტომბერმა შეუქმნა განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები საწარმოო ძალთა გაშლისათვის. სწორმა ლენინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა განაპირა მხარეების ინდუსტრიალიზაციას და ამასთან ერთად ეს ტემპები აქ გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე საშუალოდ მთელს საბჭოთა კავშირში. ამ დებულებას უდაოდ ხდის რამდენიმე წლის ციფრების უბრალო ჩამოთვლა.

1900-დან 1912 წლამდე, თორმეტი წლის განმავლობაში, მთელი მრეწველობის პროდუქცია ყოფ. თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში გაიზარდა მხოლოდ 30 პროცენტით, ხოლო ორი ხუთწლედის მანძილზე — 1923-დან 1932 წლამდე საქართველოს მძიმე მრეწველობის პროდუქცია 14-ჯერ გაიზარდა.

1923-24 წ. — 10 მილიონი მანეთის პროდუქცია.

1927-28 წ. — 19 მილიონი მანეთის პროდუქცია.

1931 წ. — 98,6 მილიონი მანეთის პროდუქცია.

1932 წ. — 140 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ზემოთმოყვანილი ციფრები გვიჩვენებენ, რომ საქართველოს მძიმე მრეწველობა განსაკუთრებით გაიზარდა მეორე ხუთწლედში: მისი პროდუქცია 19 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 140 მილიონ მანეთამდე.

მძიმე მრეწველობის ასეთივე ზრდას ადგილი აქვს მთელ ამიერკავკასიაში — აზერბეიჯანსა და სომხეთში.

საქართველოს მძიმე მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა შესრულებულ იქნა 4 წელიწადში. გეგმით ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ უნდა მიგვეღო 197 მილიონი მანეთის პროდუქცია, ფაქტიურად კი 4 წლის განმავლობაში მივიღეთ 327 მილიონი მანეთის პროდუქცია (ბათომის ნავთის გადამამუშავებელი ქარხნების ჩათვლით).

კაპიტალურმა დაბანდებამ მძიმე მრეწველობაში საგრძნობლად გადააჭარბა ხუთწლედის ვარაუდებს; ხუთი წლის მანძილზე საქართველოს მთელ მძიმე მრეწველობაში ელექტროფიკაციის გამოკლებით, დაბანდებული უნდა ყოფილიყო 111 მილიონი მანეთი, ფაქტიურად კი 4 წლის განმავლობაში დაბანდებულ იქნა 140 მილიონი მანეთი. განსაკუთრებით დიდი თანხები იქნა დაბანდებული უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, რაც დიდ ეფექტს მოგვცემს მეორე ხუთწლედის პირველ წლებში.

### ელექტროფიკაცია

პირველი ხუთწლედი ელექტროფიკაციის დარგში წარმოადგენს ისეთ პერიოდს, როცა იწყება ელექტროენერგიის ფართოდ გამოყენება საქართველოს სახალხო მეურნეობაში, თუმცა ზაჰესი ამუშავებულ იქნა 1927 წელს, მაგრამ სრული დატვირთვით იგი ამუშავდა პირველ ხუთწლედში. ელექტროენერგიის გამომუშავების და მისი მოხმარების ზრდა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში იძლევა შემდეგ სურათს:

1923-24 წ. — 4,5 მილიონი კილოვატსაათი.

1927-28 წ. — 29,8 მილიონი კილოვატსაათი.

1932 წ. — 85,5 მილიონი კილოვატსაათი.

თუმცა პირველ ხუთწლედში არ ყოფილა ამუშავებული დიდი ჰიდროსადგურები, მაგრამ ამ პერიოდის განმავლობაში სწარმოებდა რიონჰესის (რომელიც ამუშავდება 1933 წლის დასაწყისს), აჭარის-წყალის ჰიდროსადგურის და ზაჰესის მეორე რიგის მშენებლობა.

ხუთწლედის უკანასკნელ წელს ჩატარდა დიდი შემოქმედებითი მუშაობა საქართველოში ელექტრომშენებლობის შემდგომი განვითარების გზების დასახვის მხრივ (ინჟინერ კოპაძის პროექტი). პატარა და ძვირად ღირებულ სადგურების ნაცვლად, წამოყენებულია მძლავრი მაღალი წნევიანი ჰიდროსადგურების მშენებლობის პროექტი იაფი ენერგიით, რაც საქართველოს ხდის უმნიშვნელოვანეს ენერგეტიულ კვანძად მთელი საბჭოთა კავშირისათვის. აღნიშნული პრობლემების განსახორციელებლად 1932 წელს დაწყებულ იქნა საგამოკვლევო მუშაობა, რაც გაგრძელდება 1933 წელშიაც.

### ნავთის მრეწველობა

საქართველოს მრეწველობის პირველი ხუთწლედის გეგმაში სრულიად არ ყოფილა გათვალისწინებული ნავთის მრეწველობის შექმნა. მხოლოდ გაკვრით იყო მოხსენებული ზოგიერთი ნავთის საბადოს მცირე ფარგლებში გამოკვლევის საჭიროება. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის სპეციალურ გამოცემაში სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ ჩვენ ვხვდებით მხოლოდ ერთ მითითებას, რომ ხუთი წლის განმავლობაში გეოლოგიურ-საგამოკვლევო სამუშაოებისათვის, მათ შორის ნავთის საბადოების გამოკვლევისათვისაც, ნავარაუდევია 3.740.000 მანეთი. მიუხედავად ამისა, პირველმა ხუთწლედმა მოგვცა მსხვილი ნავთის მრეწველობის გაშლა საქართველოში. ორი წლის განმავლობაში ნავთის სარეწაოების მოსაწყობად დაიხარჯა 18 მილიონი მანეთი. ასვადასხვა კერძო—საფრანგეთის, ბელგიის, გერმანიის, ინგლისის და ბაქოს ფირმების ცდები უშედეგოდ დამთავრდა, მათ ვერ შესძლეს მოეწყოთ ნავთის სარეწაოები კახეთსა და გურიაში. 1927 წელს აზნავთი პირველად იწყებს ღრმა საგამოკვლევო ბურღვას ომფარეთში (გურია). ამავე დროს მირზაანის და შირაქის საბადოები კონცესიის წესით გადაეცა იტალია-ბელგიის საზოგადოებას, რომელსაც არ აღმოაჩნდა სერიოზული მუშაობის ორგანიზაციის უნარი. 1930 წლიდან მუშაობას იწყებს ტრესტი „საქნავთი“.

ორი წლის განმავლობაში მირზაანსა და შირაქში მოეწყო რამდენიმე ათეული ჭაბურღილი. 1930 წელს გაბურღილ იქნა 3.000 მეტრი, 1931 წელს—6.500 მეტრი და 1932 წელს—12.000 მეტრი.

საქართველოში ცნობილ 50 საბადოდან ბურღვა სწარმოებს მირზაანში, პატარა შირაქში, მლაშის ხევში, ნავთლუღში და გურიაში. ამას გარდა, საველე გამოკვლევა სწარმოებს მთელ რიგ რაიონებში—ელდარი, ჩატმა, ნორიო - მარტყოფი და სხვ.

კახეთის საბადოების სამრეწველო მნიშვნელობა უკვე უდაოდ არის გამორკვეული. შეხაძლებელი მარაგის რაოდენობა განისაზღვრება 850 მილიონი ტონაზე მეტით, რაც საშუალებას გვაძლევს უახლოეს წლებში გავშალოთ ნავთის სამრეწველო ამოღება დიდი მასშტაბით. მიმდინარე წელში დაიწყო მთელ რიგ ჭაბურღილების ექსპლოატაცია მირზაანში.

აჭარისტანში შეიქმნა ნავთის გადამამუშავებელი მსხვილი მრეწველობა. აშენებულ იქნა და ამუშავდა ნავთის გადამამუშავებელი მსხვილი ქარხნები, რომლებიც ამუშავებენ 3 მილიონ ტონა ნავთს. აღნიშნული ქარხნების აგება დაჯდა 36 მილიონი მანეთი, ბათომის ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები უკვე სამი წლის განმავლობაში იძლევიან საექსპორტო პროდუქციას.

1929—30 წელს—19.704 ათ. მან.

1931 წელს—64.080 ათ. მან.

1932 წელს—100.964 ათ. მან.

საგულისხმოა ისიც, რომ ხუთწლიან გეგმაში არც ბათომის ნავთის დამამუშავებელი ქარხნები ყოფილა გათვალისწინებული.

### ქვანახშირის მრეწველობა

პირველ ხუთწლედში ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებთან ერთად საქართველოში მოეწყო საკავშირო მნიშვნელობის მსხვილი სამრეწველო წარმოება—ტყვარჩელის მაღაროები. მესამე წელიწადია, რაც სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა და რამდენიმე თვის შემდეგ დაიწყება ტყვარჩელის საკოქსე ქვანახშირის საბადოების ექსპლოატაცია. მშენებლობის პროცესში მყოფი მაღარო მოგვცემს მილიონ ნახევარ ტონა ქვანახშირს. ტყვარჩელი საფუძველს უყრის ამიერ-კავკასიაში შავი მეტალურგიის გაშლის საქმეს.

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებმა პირველ ხუთწლედში მიაღწიეს ქვანახშირის ამოღების სწორ ორგანიზაციას. საგამოკვლევო სამუშაოების მეოხებით საგრძნობლად გაფართოვდა ტყიბულის საბადოების მარაგი და ნაცვლად დღემდე მოსალოდნელ 4 მილიონ ტონა მარაგისა, ეხლანდელი გამოანგარიშებით მისი რაოდენობა აღწევს 40 მილიონ ტონას. ხუთწლიანი გეგმით ხუთი წლის განმავლობაში ტყიბულში დაბანდებული უნდა ყოფილიყო 2.475.000 მანეთი, ფაქტიურად კი მარტო 1931 და 1932 წლების განმავლობაში დაბანდებულია — 3.300 ათასი მანეთი.

უკანასკნელ წლების განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა ქვანახშირის ამოღება. თითქმის არც ერთ წინა წელს არ ყოფილა ამოღებული ტყიბულში 70—85 ათას ტონაზე მეტი. 1932 წელს კი ამოღებულ იქნა უკვე 200 ათასი ტონა ქვანახშირი. ტყიბულში ქვანახშირის ამოღების საგრძნობ ზრდას გვიჩვენებენ შემდეგი ციფრები:

1913 წელი 72.000 ტონა

1917 წელი—33.000 ტონა;

1923—24 წელი—63.000 ტონა;

1927—1928 წელი—85.000 ტონა;

1932 წელი—200.000 ტონა.

ხუთწლედის უკანასკნელ წელს ტყიბულის მაღაროებს, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით, უნდა მოეცა 200.000 ტონა ქვანახშირი. მიუხედავად იმისა, რომ წელს ადგილი ჰქონდა ჩამორჩენას, ტყიბულის მაღაროები უკვე ხუთწლედის მეოთხე წელიწადში იძლევიან ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის ნავარაუდევ პროდუქციას.

### მარგანეცი

მრეწველობის ყველა დარგებიდან პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა არ სრულდება მარგანეცის დარგში. ხუთწლედის უკანასკნელ წელს ჭიათურის მარგანეცს უნდა მოეცა 22.140 ათასი მანეთის პროდუქცია, მაგრამ ფაქტიურად იგი იძლევა მხოლოდ 5 ნახევ. მილიონი მანეთის პროდუქციას. ეს აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ კრიზისთან დაკავშირებით, საგრძნობლად შემცირდა მარგანეცის ექსპორტი.

ხუთწლედის უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ხდება საქართველოს მარგანეცის მრეწველობის რეკონსტრუქცია (ტრანსპორტის მექანიზაცია, სათხრელი მანქანები და სხვ.). რამდენიმე წლის განმავლობაში ჭიათურის მაღაროებში დაბანდებულ იქნა 10 ნახევარი მილიონი მანეთი და დიდი მუშაობა ჩატარდა ჰარიმანის საკონცესიო საზოგადოების მიერ მოუვლელი და დანგრეული მაღაროების აღსადგენად.

პირველ ხუთწლედში დაიწყო მუშაობა მარგანეცის გადასამუშავებელ მსხვილი წარმოების ორგანიზაციისათვის. ზესტაფონში უკვე მთავრდება ფერო-მარგანეცის ქარხნის მშენებლობა. ეს ქარხანა 1933 წლის თებერვალში მოგვცემს ელექტროლიტურ ფერომარგანეცს, როგორც ექსპორტისათვის, ისე საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგიის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

### მანქანათმშენებლობა

საქართველოში არ ყოფილა სამანქანათმშენებლო ქარხნები. იყო რამდენიმე წვრილი საწარმო, რომლებიც აწარმოებდენ რემონტს. ამ საწარმოების ბაზაზე, პირველ ხუთწლედში აღმოცენდა სამანქანათმშენებლო ქარხნები, რომლებიც ამზადებენ მანქანებს და მოწყობილობას წარმოების მთელი რიგი დარგებისათვის.

კერძოდ, მთელი საკავშირო აბრეშუმის მრეწველობის საჭიროებისათვის საქართველოს ლითონტრესტის ქარხნებმა დაიწყეს მთელი მოწყობილობის დამზადება, როგორიცაა: აბრეშუმის სახვევი გობები, პარკის საშრობები, საგრენაჟო მოწყობილობა, კომბინირებული დამხარისხებლები, კონვეიერები, ინკუბატორები და სხვ. აღნიშნულმა ქარხნებმა ჩაის მრეწველობისათვისაც დაიწყეს ისეთი მოწყობილობის დამზადება, რომლებიც დღემდე საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა: ორმაგი და სამმაგი მოქმედების როლერები, დამხარისხებელი მანქანები მწვანე ფოთლისა და გამხმარი ჩაისათვის, საჭრელი და ჩაის საბერტყი მანქანები, საშრობები და სხვ.

1932 წელს ორჯონიკიძის სახ. ქარხანა დაეუფლა მეღვინეობის დარგში საჭირო მოწყობილობის („მობილ“-ის სისტემის ჰიდრავლიური საწნეხი, ყურძნის ხელით საწნეხი, კანკრას საჭყლეტი და სხვ.) წარმოება დახელოვნდა ამ სახის მანქანების მშენებლობაში.

თითქმის ღია ცის ქვეშ ყოველგვარი საწარმოო დაწესებულების გარეშე აღმოცენდა რკინის კონსტრუქციების მსხვილი წარმოება—რკინის კონსტრუქციების ქარხანა. ეს ქარხანა ამზადებს ანძებს ელექტროგადამცემი ხაზებისათვის, ცისტერნებს, ანგარებს საჰაერო ფლოტისათვის, ხიდებს, მოწყობილობას ჰიდროსადგურებისათვის და სხვ. ამას წინად ქარხანამ ფერომარგანეცის ქარხნისათვის დაამზადა ამწევი მანქანა, რომელიც წარმოადგენს რთულ საპასუხისმგებლო კონსტრუქციას.

ამ ძირითადი სახის პროდუქციის გარდა საქართველოს მანქანათმშენებლობის ქარხნებში მზადდება მოტორები (1-დან 5 ძალიანი), ელექტრომოწყობილი აპარატები, ელექტროსათბობი ხელსაწყო (უთოები, ქურები, ღუმელები, ვენტილიატორები და სხვ.), მოგვარებულია მცირე ჰიდროტურბინების დამზადების საქმე, თბილისის ქარხნის ჰიდროტურბინები უკვე რამდენიმე წელიწადია შეუფერხებლად მუშაობენ. მზადდება აგრეთვე ხის დამამუშავებელი დაზგები (საფრეზერო დაზგები, საცრკვლე ხერხები და სხვ.), მოგვარებულია ფერბენქსის სისტემის სტანდარტული სასწორების დამზადება 200 500 და 100 კგ. ტვირთწევით.

ხუთი წლის განმავლობაში, გეგმის მიხედვით, საქართველოს ლითონის მრეწველობას უნდა მოეცა 33,9 მილ. მანეთის პროდუქცია. ფაქტიურად 4 წლის განმავლობაში ხუთწლიანი გეგმა გადაჭარბებით შესრულდა და ჩვენ უკვე გვაქვს 38 მილიონი მანეთის პროდუქცია.

საქართველოს ლითონის მრეწველობის პროდუქციის ზრდა წლების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

1923—24 წ.—2.254.000 მ.

1927—28 წ. 3.600.000 მ.

1932 წ.—10.000.000 მ. (აჭარისტანის ქარხნებთან ერთად).

ხუთწლიანი გეგმით საქართველოს მანქანათმშენებლობის მრეწველობაში უნდა დაბანდებულიყო 4.314 ათასი მანეთი, ფაქტიურად დაბანდებულ იქნა 8.257 ათასი მანეთი. აშენდა დიდი ქარხანა 35 მილ. მანეთის პროდუქციით წელიწადში. ეს ქარხანა დაამზადებს მოწყობილობას ნავთის მრეწველობისათვის (ტურბინები და სხვ.) და საბურღავ დაზგებს გეოლოგიურ-საძიებელ სამუშაოებისათვის.

### მინერალურ-სამადნო მრეწველობა

მინერალურ-სამადნო მრეწველობის ხაზით პირველ ხუთწლედში შეიქმნა მთელი რიგი სრულიად ახალი წარმოებანი, კერძოდ, ყაზრეთსა და ბაკურიანში მოეწყო ანდეზიტის მსხვილი წარმოება, რომელიც მჟავას გამძლე მასალას აწვდის საბჭოთა კავშირის გოგირდ-მჟავას მრეწველობას. ანდეზიტის დამუშავებამდე საბჭოთა კავშირს უცხოეთიდან შემოჰქონდა რამდენიმე მილიონი მანეთის მჟავას გამძლე მასალა. ანდეზიტის წარმოების მოწყობა ხუთწლიანი გეგმით არ იყო გათვალისწინებული.

ახალ წარმოებათა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე ფლორიდინის თიხის (გუმბრინი) წარმოება, რომელიც აუცილებელია ნავთის მრეწველობისათვის. ფლორიდინის თიხის წარმოების მოწყობამ საშუალება მოგვცა შეგვეწყვიტა ფლორიდინის იმპორტი.

მინერალურ-სამადნო მრეწველობამ მთლიანად გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა. ხუთი წლის განმავლობაში მას უნდა მოეცა 24 მილიონი მანეთის პროდუქცია, ფაქტიურად 4 წლის განმავლობაში მოგვცა 35 მილ. მანეთის პროდუქცია:

პროდუქციის ზრდა წლების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

| | |
|---|---|
| 1923-24 წ. | 51 ათასი მან. |
| 1927-28 წ. | 1.255.000 მან. |
| 1932 წ. | 6.500.000 მან. |

ხუთი წლის განმავლობაში მინერალურ სამადნო მრეწველობაში უნდა დაბანდებულიყო 1.481.000 მან., ფაქტიურად დაბანდებულ იქნა 16.200.000 მან. ეს თანხა მოხმარდა როგორც ახალ წარმოებათა ორგანიზაციას, ისე 1-ლ ხუთწლედამდე არსებულ ბარიტის წარმოების სრულ რეკონსტრუქციას. 1913 წელს ბარიტის მოპოვება არ აღემატებოდა 2.000 ტონას, 1931-32 წელს კი მან უკვე 30-35 ათას ტონას მიაღწია.

### საამშენებლო მასალის მრეწველობა

პირველი ხუთწლედის პერიოდში საქართველოში საამშენებლო მასალის წარმოების ხაზით აღმოცენდა რამდენიმე ათეული საწარმო. აგებულ იქნა კირის რამდენიმე ქარხანა (მოწამეთაში, სურამში' ხენაკში და სხვ.); აგურის მთელი რიგი ქარხნები (ტყვრში; ნოსირში; სოხუმში; ქობულეთში, გურჯაანში სტალინისში, თბილისში და სხ.), მზადდება საექსპლოატაციოთ სახურავი ფიქლის წარმოება კახეთში, აშენდა და უკვე 2 წელიწადია მუშაობს ცემენტის დიდი ქარხანა (კასპში); რომელიც ამზადებს მაღალხარისხოვან ცემენტს.

საამშენებლო მასალის მრეწველობის პროდუქცია თვალსაჩინოდ გაიზარდა.

1923-24 წ.—298 ათასი მან.; 1928-29 წ.—1.220 ათ. მან. და 1932 წ:—7 მილ. მან.

საამშენებლო მასალის მრეწველობის ხუთწლიანი გეგმაც 4 წელიწადში შესრულდა. ხუთწლედის უკანასკნელ წელს ჩვენ უნდა გვქონოდა 5.699 ათ. მანეთის პროდუქცია, ფაქტიურად 1932 წელს გვაქვს 7 მილ. მან. პროდუქცია.

ხუთწლიანი გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით შესრულა კასპის ცემენტის ქარხანამ. 600 ათასი კასრის ნაცვლად, რაც გეგმით გათვალისწინებული იყო 1932-33 წლისათვის, 1932 წელს უკვე გვაქვს 900 ათასი კასრი.

საამშენებლო მასალის მრეწველობაში 5 წლის განმავლობაში უნდა დაბანდებულიყო 10.700 ათასი მანეთი, ფაქტიურად 4 წლის განმავლობაში დაბანდებულ იქნა 13 მილ. მანეთი.

### გეოლოგიური საკვლევაძიებო სამუშაოები

პირველ ხუთწლედში ფართო მასშტაბით დაიწყო გეოლოგიურ-საძიებელ სამუშაოთა გაშლა მინერალურ-სამადნო სიმდიდრის გამორკვევის მიზნით.

თუ 1923-27 წლების და 1928 წლის პერიოდში გეოლოგიურ-საძიებელ სამუშაოებზე იხარჯება 150—200 ათასი მანეთი, პირველ ხუთწლედის უკანასკნელ წლებში 1931-32 წლ. ამ სამუშაოებზე ყოველწლიურად იხარჯება 1 ნახ.—2 მილ. მანეთი, რის შედეგად აღმოჩენილ იქნა მთელი რიგი საბადოები, რომელთაც დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ.

ქვანახშირის ხაზით ახალციხის რაიონში აღმოჩენილ იქნა მურა ქვანახშირის საბადო 130 მილიონი ტონა გეოლოგიური მარაგით, მეორე ხუთწლედში ეს საბადო ძირითადი საწარმო იქნება ამიერ-კავკასიის სათბობით მომარაგების მხრივ, რამდენადაც ტყიბულის და ტყვარჩელის ქვანახშირი გამოყენებულ უნდა იქნას მეტალურგიისათვის.

გამორკვეულ იქნა შავი ზღვის განაპირა რაიონებში არსებული ტორფის (ფოთი, ქობულეთი და სხვ.) სამრეწველო მნიშვნელობა.

რკინის მადნეულის ხაზით კვლევა-ძიება სწარმოებს რამდენიმე ადგილას (ჩათახი, ძირულა, შავი ზღვის განაპირა ადგილების მაგნიტიანი ქვიშა). ამ ცოტა ხნის წინად სტალინისის მახლობლად აღმოჩენილ იქნა რკინის მადანის დიდი საბადო. შავი ზღვის განაპირა ადგილების მაგნიტიანი ქვიშის კვლევა-ძიებამ მოგვცა სამრეწველო მარაგი.

სწარმოებს კვლევა-ძიება სპილენძის საბადოების ხაზით კახეთში, აჭარისტანში და სხვ. ადგილებში. უკვე წინასწარი მუშაობიდან ირკვევა, რომ მათ სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ.

ტყვიის და თუთიის ხაზით უკვე თითქმის სავსებით გამოკვლეულია კუდარის საბადო (სამხრეთ-ოსეთი) და დაწყებულია ძიშრის საბადოს გამოკვლევა, რომელსაც ძველი მასალების მიხედვით დიდი მარაგი აქვს.

გამორკვეულ იქნა, რომ მოგვეპოვება დარიშხანის სამრეწველო მარაგი და დაიწყო დარიშხანის საბადოების ექსპლოატაცია.

სწარმოებს გოგირდის კოლჩედანის საბადოს და სხვა საბადოების (წარმალილო, ტალკი, თაბაშირი და სხვ.) გამოკვლევა.

### რას ვაშენებთ 1933 წელს მძიმე მრეწველობის ხაზით

მეორე ხუთწლედის პირველ წელს საქართველოს მძიმე მრეწველობის მშენებლობაზე **დაბანდებულ იქნება 50 მილ. მანეთი** (ელექტროფიკაციის გამოკლებით), ნაცვლად 1932 წელს დაბანდებულ 37 მილიონი მანეთისა. **ნავთის** მრეწველობის ხაზით 1933 წელს დაიხარჯება 12.740 ათასი მანეთი, ნაცვლად 5 მილ. მანეთისა, რომელიც დაიხარჯა 1932 წელს. ამ თანხის საგრძნობი ნაწილი მოხმარდება საძიებელ ბურღვას მირზაანში, შირაქში, ნავთლუღში, გურიაში და სხვ. ახალ რაიონებში; ხოლო დანარჩენი ნაწილი ნავთის სამრეწველო ამოღების ორგანიზაციას.

**ქვანახშირის** ხაზით ტყვარჩელის მშენებლობის დამთავრებაზე დაიხარჯება 15 მილ. მანეთი, ნაცვლად 14 მილიონისა, რომელიც დაიხარჯა 1932 წელს.

ტყიბულის ხაზით დაიხარჯება 2.400.000 მანეთი, რაც მოხმარდება წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებას.

**მარგანეცის** წარმოებაზე 1933 წელს დაიხარჯება 3.300 ათასი მან.; 1932 წელს დახარჯულ 2 ნახ. მილ. მანეთის ნაცვლად ეს თანხა უმთავრესად მოხმარდება მოპოვების და ტრანსპორტის მექანიზაციას და მადანის გასამდიდრებელი ახალი ფაბრიკის აგებას. სახსრების ნაწილი [illegible] აგლომერატიული დადგმულობის მშენებლობის მოსამზადებაზე.

**ფერო-მარგანეცის** ხაზით 1933 წელს განზრახულია 6 მილიონი მან. დახარჯვა, ნაცვლად 5 მილიონ მანეთისა, რომელიც დაიხარჯა 1932 წელს. ამ თანხებით აგებულ იქნება სამი ახალი ღუმელი და 1933 წლის დამლევს ფერო-მარგანეცის ქარხანაში იმუშავებს 6 ღუმელი.

**მანქანათმშენებლობის** დარგში გაღებულია სახსრები ცენტრო-ჩამომსხმელი ქარხნის ასაგებად თბილისში. ეს ქარხანა მოგვცემს ფოლადის, თუჯის და ფერადსხმულს თბილისის მანქანათმშენებლობის ქარხნებისათვის. აღნიშნული ქარხნის სიმძლავრე შემდგომ წლებში 80 ათას ტონა სხმულამდე მიაღწევს. ქარხანას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მანქანათმშენებლობის მრეწველობის შემდგომი გაშლისათვის.

**აჭარისტანში** აშენდება ჩაის მოწყობილობათა ქარხანა. თბილისის **26 კომუნარის სახ. ქარხანა** მთლიანად გადაკეთდება და იმუშავებს საფეიქრო- მანქანების დამზადებაზე.

**მინერალურ-სამადნო მრეწველობაში** დაბანდებულ იქნება 8 მილ. მანეთი, ამ თანხის ნაწილი დაიხარჯება გუმბრინის ქარხნის აგებაზე.

**ქიმიური** მრეწველობის ხაზით ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის დამთავრებაზე დაიხარჯება 2.500 ათასი მანეთი.

**საამშენებლო მასალის** დამამზადებელ საწარმოთა მშენებლობაში დაბანდებულ იქნება 8 მილ. მანეთზე მეტი. თბილისში აშენდება კედლის მასალების დიდი ქარხანა, ხოლო ნატანებში საბოთუმე ქარხანა.

***

პირველი ხუთწლედის შედეგები საქართველოს მძიმე მრეწველობაში არის ამიერკავკასიისა და მთელ საბჭოთა კავშირში ხუთწლედის შესრულების შედეგების ნაწილი. ეს შედეგები, გამოხატულნი ზემოდმოყვანილ მშრალ ციფრებში, ბევრ რაიმე ვერ ითვალისწინებენ. ამ ციფრებს იქით იფარება ის უდიდესი ენტუზიაზმი, რომელსაც მუშათა მასები იჩენდენ თვითეულ საწარმოში. ეს ციფრები ამ ენტუზიაზმის შედეგია. ყველა ეს მიღწევები შედეგია იმ მუშათა მასების ბრძოლისა, რომელსაც მეთაურობს და ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია. დღეს ჩვენ გადავდივართ მეორე ხუთწლედში. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებაში აღებული გეზი უკვე განსაზღვრავს იმ ზრდას, რომელსაც ჩვენ მოველით მეორე ხუთწლედში.

ხ. გოდაბრელიძე.

# გადამწყვეტი სამეურნეო ამოცანა

## ტექნიკური ბაზის შექმნა სახალხო მეურნეობის ყველა დარგებისათვის“

### „საქართველოს მანჩესტერი“

საქართველოს მუშათა კლასმა შექმნა თავის საკუთარი პატარა, მანჩესტერი. „საქართველოს მანჩესტერით“ ასე უწოდა თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკას ერთ ნგმა სპეციალისტმა — ინგლისელმა — ლეონ კოიმ, რომელიც მოწვეული იყო ფაბრიკის დასათვალიერებლად და არსებული ფაბრიკის მხოლოდ სხვა ახალი ფაბრიკების აგების შესახებ დასკვნის მისაცემად.

ფაბრიკა „ინდუსტრიის“ ჟურნალში, ამ ინგლისელმა სპეციალისტმა ასე ჩაუწერია თავისი შთაბეჭდილებები: „ეს ერთი იმ საუკეთესოთ მოწყობილ ფაბრიკათაგანია, რომელიც მე მინახავს. დიდისად დასაფასებელია ის ენერგია, რომელმაც ასეთი ფაბრიკა შექმნა სამი წლის განმავლობაში“. თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა პირველი ხუთწლედის ერთი თვალსაჩინო მონაპოვარია. საქართველოში, სადაც საფეიქრო მრეწველობის ტექნიკური დონე არ გასცილებოდა პრიმიტიულ, შინამრეწველობის ანუ ივე ფაბრიკების პროდუქციას, ფაბრიკა ამზადებს სხვადასხვა ნართს, რომელიც, მოსაქსოვად იგზავნება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებში. ასეთ ნართზე დიდი მოთხოვნილება სხვა ქვეყნებშიაც (განსაკუთრებით სპარსეთში).

ასეთია თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა.

პირველი ხუთწლედის განმავლობაში თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ იმუშავა მხოლოდ სამი წლის წადი. ფაბრიკის წინაშე მრავალი დაბრკოლება იყო ალმართული. მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ საფეიქრო მრეწველობა ჩვენში ახალი დარგი იყო, რომ ჩვენში არ მოიპოვებოდა ასეთი კვალიფიციური მუშა-ხელი, რომელიც გაერკვეოდა რთული საქსოვი და სართავი მანქანების მართვაში. საქსოვ მანქანებს უნდა მცოდნე მუშა-ხელი, რომელიც ფაქიზად ამუშავებს მათ, ხოლო ასეთი მუშა-ხელით ჩვენ ღარიბნი ვიყავით. ფაბრიკის ექსპლოატაციის პირველ ხანებში მუშაობის გაშლას ხელი შეუშალა ნედლეულის თავის დროზე მოუწოდებლობამაც.

1930 წელს ფაბრიკას უნდა მოეცა 512.000 მეტრი ქსოვილები, მოგვცა 424.000 მეტრი. 1931 წელს უნდა მოეცა 764.000 მეტრი — მოგვცა 790.000 მეტრი, ხოლო 1932 წელს მას უნდა მოეცა 796.000 მეტრი და აქედან 9 თვის განმავლობაში მოგვცა 660.000 მეტრი. მესამე კვარტალში ფაბრიკა განიცდიდა მუშა-ხელის მწვავე ნაკლებობას. ის მუშა-ხელიც [illegible]



[illegible]

### რა გაკეთდა და რა კეთდება

#### ელექტროფიკაციის დარგში

[illegible]



[illegible]



[illegible]

### წითელდროშიანი ქარხანა

[illegible]



[illegible]

### ელექტრომავალი სურამის უღელტეხილზე

[illegible]



[illegible]

### საქართველოს მსუბუქი მრეწველობა ორი ხუთწლედის მიჯნაზე

[illegible]

# საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის მეორე ხუთწლედის მიჯნაზე

## მტკიცდებიან საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები, იზრდება ტექნიკური კულტურების ფართობი

**პირველ ხუთწლედში, ტექნიკური კულტურების ფართობი საქართველოში უნდა გადიდებულიყო 54 600 ჰექტარამდე, ფაქტიურად გადიდდა 60 600 ჰექტარამდე.**

**ტექნიკური კულტურების განვითარების ხუთწლიანი გეგმა შესრულებულია 111 პროცენტით.**

**აქედან:**

| | |
|---|---|
| ჩაის განვითარების ხუთწლიანი გეგმა შესრულებულია | 106 პროცენტით |
| ბამბის | 107 |
| თამბაქოს | 105 |

## თამბაქო

ტექნიკურ კულტურათა შორის თამბაქოს საქართველოში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას მაღალ-ხარისხოვანი თამბაქოთი ძირითადათ აკმაყოფილებს **აფხაზეთი.** აქედან ცხადია, თუ რა უდიდესი სამეურნეო პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლევა სამრეწველო მეთამბაქოების განვითარებას ჩვენში.

პირველ ხუთწლედში პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თამბაქოს ფართობის გადიდებას. ამ მიზნით აფხაზეთში არსებული ფართობის მთლიანად გამოყენებასთან ერთად, მიღებული იყო ზომები თამბაქოსათვის გამოსადეგი ფართობის გამოსანახავად საქართველოს სხვა რაიონებში. ამ მიმართულებით წარმოებულ მუშაობამ მეტად მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო. აფხაზეთს გარდა საქართველოს მთელ რიგ რაიონებში შერჩეულ იქნა ნაკვეთები თამბაქოს პლანტაციების გასაშენებლად. 1932 წლისათვის მარტო ლაგოდეხის რაიონში თამბაქოს პლანტაციების ფართობი აყვანილ იქნა 3000 ჰექტარამდე. ამჟამად გარდა აფხაზეთისა, საქართველოში მეთამბაქოებას მისდევს 9 რაიონი, და აჭ[..]ანი.

თამბაქოს პლანტაციების გადიდების მხრივ ასეთი სურათი გვაქვს:

გაშენებული იყო თამბაქო:

| | | |
|---|---|---|
| 1913 წელს | 10.400 | ჰექტარი, |
| 1917 წელს | 11.000 | ჰექტარი |
| 1928 წელს | 13.000 | ჰექტარი |
| 1932 წელს | 22.000 | ჰექტარი |

[illegible]

...თში პირველი ხარისხის თამბაქოს რაოდენობა საერთო პროდუქციაში 1929 წელთან შედარებით შემცირდა 1,4 პროცენტიდან 0,1 პროცენტამდე 1931 წლისათვის.

თამბაქოს ხარისხის გაუარესება და ზოგ შემთხვევაში პროდუქციის შემცირება აიხსნება უმთავრესად იარაღის დამუშავების ცუდი ხარისხით, საშრობი ფარდულების ნაკლებობით, სასუქის შეტანის შემცირებით და საერთოდ ადგილობრივი ორგანიზაციების ყურადღების შესუსტებით ხარისხობრივი მაჩვენებლებისადმი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქ. კ.პ.(ბ) ცეკას ძველი ხელმძღვანელობა თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა თამბაქოს პროდუქციის გადიდებას და ხარისხის გაუმჯობესებას. ისახავდა რა ძველი ხელმძღვანელობა თამბაქოს პლანტაციის გადიდების ფანტასტიურ გეგმებს (მაგ. 36.000 ჰექტარი 1931 წლისათვის) თითქმის არავითარ ზომებს არ იღებდა მოსავლიანობის გასადიდებლად.

ამ მდგომარეობას საქართველოს კ.პ.(ბ) ცეკამ მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება. უკანასკნელად დიდი ყურადღება ექცევა თამბაქოს მოსავლის გადიდებას და ხარისხის გაუმჯობესებას. ამ მიზნით რამდენიმედ შემცირებულია თამბაქოს პლანტაციების გაშენების გეგმები იმ რაიონებში, რომელნიც მუშა-ხელის დეფიციტს განიცდიან და ვერ უზრუნველყოფენ ნიადაგის წესიერ დამუშავებას და საჭირო აგროკულ-[illegible]

## ჩაი

[illegible]

...ოპორტუნისტები ჩაის კულტურის განვითარებაზე დახარჯულ თანხებს „წყალში გადაყრად" სთვლიდენ, ავრცელებდენ საზიზღარ ჭორებს და ყოველმხრივ ხელს უშლიდენ ჩაის გეგმების შესრულებას.

მაგრამ სინამდვილემ გააქარწყლა ჩვენი მტრების იმედები. დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზო-[illegible]

...ადიდებენ ჩაის ფართობს, აუმჯობესებენ მის მოვლა-დამუშავებას და იბრძვიან ჩაის მოსავლიანობის ყოველმხრივ გადიდებისათვის.

ჩაის კულტურის განვითარების ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში, უდიდესი როლი ითამაშა ჩაის რაიონებში მძლავრი ტექნიკური ბაზის შექმნამ და ჩაის ძირითად სამუშაოთა საქმეში მექანიზაციის გატარებამ. **1928 წელს თუ ჩაის რაიონებში არ იყო არც ერთი ტრაქტორი, ამჟამად ჩაის რაიონებში მოწყობილია 11 სამანქანო-სატრაქტორო სადგური 287 ტრაქტორით.**

ჩაის ტექნოლოგიური პროცესების შემდგომი დაუფლების მიზნით ხდება ჩაის ფაბრიკების რეკონსტრუქცია და შენდება ახალი ფაბრიკები. დაწყებულია ჩაის ექვსი ახალი ფაბრიკის მშენებლობა; სულ ამჟამად საქართველოში მოწყობილია ჩაის 15 ფაბრიკა; აქედან 14 ფაბრიკა უშვებს შავ ბაიხის ჩაის, ხოლო ერთი მწვანე აგურის ჩაის.

1932 წელს ჩაის ფრონტზე მოპოვებულ იქნა ორი უდიდესი მიღწევა. აქედან **პირველი მიღწევა იმაში მდგომარეობს, რომ მიმდინარე წლიდან ჩვენ ჩაის მთელი სათესი ფართობი** უზრუნველვყავით ადგილობრივი დამზადებული თესლით. და **ამიერიდან შევწყვიტეთ ჩაის თესლის შემოტანა საზღვარგარეთიდან.** 1923 წლამდე ჩვენ საშუალოდ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ყოველწლიურად შემოგვქონდა 200 ტონა თესლი, მიმდინარე წელს კი ჩაის თესლის მთელი მოთხოვნილება დავაკმაყოფილეთ ადგილობრივი რესურსებით და ამავე დროს საზღვარგარეთ გავიტანეთ 100.000 კილოგრამ ჩაის თესლს.

მეორე უდიდესი მიღწევა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ შევძელით ჩაის პროდუქციის 100 პროცენტით გადაქცევა „საქართველოს ჩაი"-მ [illegible] ჩაის ბუჩქების შენარჩენი და შენაკრეფი მთელი მასა, რომელიც დღემდე უნაყოფოთ იკარგებოდა, **გამოყენებია ნატურალური** შავი ბაიხის [illegible]. **ამგვარად გადადგმულია უდიდესი ნაბიჯი წინ საბჭოთა კავშირის** სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ჩაის დარგში.

## ციტრუსები

ზემოხსენებულ ტექნიკურ კულტურებთან ერთად, დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონა, განსაკუთრებით შავი ზღვის განაპირა რაიონებში წარმოადგენს საუკეთესო ხელსაყრელ ნიადაგს სუბტროპიკულ კულტურათა განვითარებისათვის: ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინა—აი რა ძვირფასი ბაღოვნის განვითარება არის იქ შესაძლებელი. გარდა ამისა, შავი ზღვის განაპირა ადგილებში შესაძლებელია გაშენდეს [illegible] კულტურები და ძალიან [illegible] მცენარე, როგორიცაა—კაუჩუკის ხე და სხვ.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ პირველ ხუთწლედში ციტრუსოვანი კულტურების განვითარება არ იყო სათანადოდ უზრუნველყოფილი ამხ. სტალინის მითითებამდე (1931 წლის ოქტომბერი), ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ 1932 წლის ბოლომდე ციტრუსების ფართობი არ აღემატება 1912 ჰექტარს, აქედან ხეხილის [illegible] შეადგენს მხოლოდ 700 ჰექტარს.

პირველი სერიოზული ნაბიჯი ციტრუსოვანი კულტურების ფართობის გასადიდებლად გადადგმული იქნა მხოლოდ [illegible] წელს. გასული წლის გაზაფხულზე დამატებით გათვალისწინებული იყო 1.215 ჰექტარი ნიადაგის მომზადება ლიმონისა და მანდარინისათვის.

მართალია, სანერგე მასალის უქონლობის და სხვა მიზეზების გამო, ეს გეგმა ვერ იქნა მთლიანად შესრულებული, მაგრამ საერთოდ ციტრუსების განვითარების საქმეში საერთოდ სერიოზული ნაბიჯებია გადადგმული. მოწყობილია ლიმონ-მანდარინის სპეციალური ტრესტი, რომელიც ხელმძღვანელობს ამ კულტურების გეგმიან განვითარებას.

ციტრუსების განვითარების დარგში ჩვენ [illegible] პერსპექტივები გვაქვს. საქართველოს შავი ზღვის განაპირა რაიონების, განსაკუთრებით აჭარისტანის და აფხაზეთის სინამდვილეში გვაქვს შესაძლებლობა დიდი მაშტაბით განვავითაროთ ციტრუსოვანი კულტურების მეურნეობა, ეს შესაძლებლობა მეორე ხუთწლედის განმავლობაში გამოყენებული უნდა იქნას მაქსიმალურად.

ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემს გავაძლიეროთ მშრომელთა მომარაგება და მეორეს მხრივ გავაძლიეროთ ციტრუსოვანი კულტურათა პროდუქციის ექსპორტი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მშენებლობის საერთო ინტერესებისათვის ჩვენს ქვეყანაში.

სერიოზული ნაბიჯები ციტრუსოვანი კულტურების განვითარების დარგში პირველ ხუთწლედში იქნა გადადგმული. ამ ნაბიჯებს უნდა მოყვეს საჭირო ზომების მიღება მიღწეულ წარმატებათა განმტკიცების და ციტრუსების განვითარების შემდგომი წახალისებისათვის. ცხადია, ციტრუსოვანი კულტურების გადიდება ზუსტად განსაზღვრული გეგმით გაგრძელებული უნდა იქნას მეორე ხუთწლედშიც.

## ბამბა

ჩაისა და თამბაქოს შემდეგ, მესამე მნიშვნელოვან ტექნიკურ კულტურად საქართველოში უნდა ჩაითვალოს ბამბა. ჩვენი საფეიქრო მრეწველობის ნედლი მასალის, მომარაგების და ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გაძლიერების ამოცანები გვიკარნახებს ყოველმხრივ გავაძლიეროთ ბამბის კულტურის განვითარების ტემპები.

ბამბის მოყვანას საქართველოში ძველ დროშიც მისდევდნენ. მაგ., 1913 წლისათვის ბამბის ნათესი საქართველოში აღრიცხული იყო 8200 ჰექტარის რაოდენობით. იმპერიალისტური ომის პერიოდში ამ კულტურის ნათესი არე 1.300 ჰექტარამდე დავიდა, ხოლო მენშევიკური პარტიის ბატონობის განმავლობაში ბამბის კულტურა თითქმის სრულიად გადაშენდა.

მებამბეობის გეგმიანი და კულტურული განვითარება საქართველოში იწყება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1928 წლისათვის ბამბა დათესილი იყო 7,800 ჰექტ.

ხუთწლიანი გეგმის თანახმად, საქართველოში ბამბის კულტურის განსავითარებლად დასახული იქნა მთელი რიგი სერიოზული ღონისძიებანი; უპირველესად ყოვლისა, საჭირო იყო წყალთა მეურნეობის სწორი ექსპლოატაციის უზრუნველყოფა, არსებული სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია და ახალი სარწყავი არხების გაყვანა. ამ მიმართულებით პირველ ხუთწლედში უდიდესი მუშაობა ჩატარდა. დამთავრებულ იქნა და ექსპლოატაციაში შევიდა ალაზნის არხი, რომელიც სხვა კულტურებთან ერთად რწყავს ბამბის ფართობს. გადაკეთებული და აღდგენილი იქნა სარწყავი არხები გურჯაანისა და გარე-კახეთის რაიონებში (ივრის ველი), აღდგენილია წყალსაქაჩავები, ბორჩალოს რაიონში და წესრიგში იქნა მოყვანილი მთელი სარწყავი სისტემა ყარაიას რაიონში.

ყოველივე ამან საშუალება მოგვცა დაგვეცვა ბამბის მოსავალი გვალვების სტიქიისაგან, წესიერად ჩაგვეტარებია ზამთრის არატი და გაგვედიდებინა ბამბის მოსავალი. ბამბის კულტურის განვითარების საქმეში, უდიდესი როლი ითამაშა აგრეთვე ტექნიკური ბაზის განვითარებამ. **ბამბის ყველა ძირითად რაიონებში მოწყობილია სამანქანო-სატრაქტორო სადგური. მოწყობილია აგრეთვე ბამბის სანერგეები და** სწარმოებს ბამბის საუკეთესო ამერიკული ჯიშების გავრცელება საქართველოში.

ამგვარად უკვე პირველ ხუთწლედში საქართველოში შეიქმნა ყველა პირობები სამრეწველო მებამბეობის განვითარებისათვის. ყოველივე ამან ჩვენ საშუალება მოგვცა გიგანტური ტემპებით გაგვეძლიერებინა მებამბეობის განვითარება, 1928 წლისათვის თუ საქართველოში ბამბა დათესილი იყო 7.800 ჰექტარზე, 1932 წლისათვის დათესილი იყო 23.900 ჰექტარზე. **პირველი ხუთწლედის განმავლობაში ბამბის ნათესი არე გაიზარდა 306 პროცენტით.**

ბამბის კულტურის განვითარებასთან დაკავშირებით, მთელი ყურადღება მიქცეულია მოსავლიანობის გადიდებისადმი; კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცება, ბამბის საბჭოთა მეურნეობის მუშა-ხელით უზრუნველყოფა; ნიადაგის დამუშავების გაუმჯობესება, სარწყავი სისტემის სწორი ექსპლოატაცია და რაც მთავარია —ბამბის დამუშავება-აკრეფის მექანიზაცია—აი მოსავლიანობის გადიდების აუცილებელი პირობები. ბამბის რაიონების მთელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღება ამჟამად მიქცეულია ამ პირობების შექმნისა და ხარისხობრივი მაჩვენებლობის გაუმჯობესებისაკენ ბამბის კულტურის განვითარების დარგში.

1933 წლისათვის საქართველოში ბამბის ფართობის განსაზღვრულია 18.000 ჰექტარის რაოდენობით. ეს რამდენიმედ ნაკლებია იმ ფართობზე, რომელიც ჩვენ 1931-32 წლებში გვქონდა, მაგრამ სამაგიეროდ უნდა უზრუნველვყოთ 1933 წ. იმაზე მეტი პროდუქციის მიღება, ვიდრე ვღებულობდით 1931-32 წლებში.

ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობები მივაღწიოთ უდიდეს ეფექტს ბამბის მოსავლიანობის გადიდების მხრივ მეორე ხუთწლედში. ამის საშუალებას გვაძლევს: ნიადაგის პირობები, მძლავრი ტექნიკური ბაზა, მოწესრიგებული სარწყავი სისტემა, სოციალისტური სექტორის წარმატებანი მებამბეობის რაიონებში და მებამბეობის განვითარების ის სწორი და რეალური გეგმა, რომელიც მიღებულია 1933 წლისათვის.

## ჭარხალი

ჭარხლის გეგმიანი განვითარება საქართველოში მხოლოდ პირველ ხუთწლედში დაიწყო. გამოირკვა, რომ ჩვენში არის ჭარხლის კულტურის განვითარების დიდი შესაძლებლობა, საუკეთესო ნიადაგი ჭარხლისათვის არის ყოფილი გორის მაზრაში, სახელდობრ სტალინისის, გორის და კასპის რაიონებში.

1932 წელს გეგმის მიხედვით საქართველოში ჭარხალი უნდა დათესილიყო 4055 ჰექტარი, ფაქტიურად დაითესა 4.427 ჰექტარი, რაც გეგმის 101,8 პროცენტს შეადგენს. ჭარხლის თესვის გეგმის გადაჭარბებით შესრულება მოწმობს, რომ ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს უზრუნველვყოთ ამ კულტურის ფართობის შემდგომი გადიდება.

მეორე ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გადიდებულ იქნას ჭარხლის მოსავლიანობა, პირველი ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ერთ ჰექტარზე ჩვენ უნდა მიგვეღო არა ნაკლებ 100 ცენტნერისა. სტალინისის და გორის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებმა ჭარხლის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბოლშევიკური ბრძოლის მაგალითები გვიჩვენეს, მაგრამ საერთოდ უნდა ითქვას, ერთ ჰექტარიდან ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევძელით ჭარხლის აღება გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობის მიხედვით.

ეს უმთავრესად აიხსნება ზოგან აგროკულტურულ ღონისძიებათა სუსტი გატარებით, აქა-იქ დამუშავების ხარისხის უვარგისიანობით, მოსავლის აღების ცუდი ორგანიზაციით და ნაწილობრივ სტიქიური უბედურებით.

მიუხედავად ამისა, ჩვენში ჭარხლის კულტურამ სავსებით გაამართლა იმედები და მის განვითარებას მომავალში უფრო სერიოზულად უნდა მოეკიდოთ ხელი.

საქართველოში, სახელდობრ აგარაში **მთავრდება პირველი შაქრის ქარხნის მშენებლობა. ეს ქარხანა პირველ ხუთწლედის პირმშო შვილია.** შაქრის ქარხანა საქართველოში—ეს უდიდესი მიღწევაა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შევუქმნათ ამ ქარხანას ნედლეულის მტკიცე ბაზა, ჭარხლის საერთო რაოდენობა აგარის შაქრის ქარხანა ძირითადად უნდა დააკმაყოფილონ სტალინისის, გორის და კასპის რაიონებმა.

ჩვენ უნდა მივიღოთ ყველა ზომები იმ დეფექტების აღმოსაფხვრელად, რომელსაც ჩვენში ადგილი ჰქონდა ჭარხლის კულტურის განვითარებასთან დაკავშირებით. უპირველესად ყოვლისა, საჭირო იქნება ჭარხლისათვის ნიადაგის მომზადების გაუმჯობესება და აღების კამპანიის დროზე დამთავრება.

მეორე ხუთწლედის პირველ წლიდანვე შაქრის ქარხანა უნდა უზრუნველვყოთ ნედლი მასალის საკმაო რაოდენობით.




ტრაქტორების რაოდენობის ზრდა წლების მიხედვით საქართველოში




# პირველი ხუთწლედის შედეგები საქართველოს სოფლის მეურნეობაში

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბუნებრივ კლიმატიური პირობები უდიდეს საშუალებებს იძლეოდენ ძვირფას ტექნიკურ კულტურათა განვითარების და სოფლის მეურნეობის ინტენსივობისათვის, მეფის თვითმპყრობელობა ხელოვნურად ამაგრებდა ბატონყმობის ნაშთებს. თვითმპყრობელობის კოლონიალური პოლიტიკა საქართველოში ხელოვნურად აფერხებდა საწარმოო ძალთა განვითარებას და მკვდარ წერტილზე აჩერებდა საქართველოს სოფლის მეურნეობას. იმპერიალისტურმა ომმა კიდევ უფრო გააღრმავა სოფლის მეურნეობის კრიზისი, ხოლო მენშევიკების ბატონობის დროს მთლად ჩამოქვეითდა და დაღუპვის პირამდე მივიდა.

1917 წელში მშრომელ გლეხობის ნაწილს ეკუთვნოდა ყველა ვარგის მიწების მხოლოდ 5,4 პროცენტი, თავად-აზნაურობას, ვაჭრებს და სასულიერო წოდების — 34,7 პროცენტი, ხოლო დანარჩენი 59,9 პროცენტი იყო სახელმწიფოს ხელში. ამრიგად საქართველოს მშრომელი გლეხობა სხვისი საწარმოო საშუალებებით, სხვის მიწას ამუშავებდა და შედეგად მას მოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილი რჩებოდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობა სადი ეკონომიური განვითარების გზას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაადგა. ძირფესვიანად იქნა აღმოფხვრილი ბატონყმობის ნაშთები, ღარიბ-საშუალო გლეხობამ გამოიყენა მემამულეების, თავადაზნაურების, კულაკობის, საეკლესიო და ხაზინის კონფისკაციაქმნილი მიწები და ამით გზა გაეკაფა სოფლის მეურნეობის სწრაფ განვითარებას. უკვე პირველი ხუთწლედის დასაწყისშივე (1927 - 28 წ.) ნათესების ფართობმა 8 პროცენტით გადააჭარბა ომის წინადროის ფართობს, საქონლის რიცხვმა — 20 პროცენტით და სხვ. მაგრამ ამ რაოდენობით მაჩვენებლებს თან არ ახლდა შესაფერისი ხარისხობრივი მაჩვენებლები. დაბალი ტექნიკური დონე, აგროტექნიკური უცოდინარობა, აგროტექნიკურ ღონისძიებათა ჩამორჩენა ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის დაბალ მოსავლიანობას. ძალზე დაბალი იყო სოფლის მეურნეობის საქონლიანობა, რაც უმთავრესად გლეხურ მეურნეობათა დაქსაქსულობის, პრიმიტიულობის და ნახევრად ნატურალური ხასიათიდან გამომდინარეობდა. სოფლის მეურნეობის დაქსაქსულობა საქართველოში თავის მხრივ აფერხებდა აგრეთვე მსხვილი მანქანა-იარაღების გამოყენებას, აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებას სოფლის მეურნეობაში და სხვ.

პარტიის გენერალური ხაზის თანამიმდევრობითი გატარების, კულაკობის და პარტიაში მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის საფუძველზე საქართველოს სოფლის მეურნეობამ პირველი ხუთწლედის ოთხ წელიწადში მიაღწია უდიდეს შედეგებს და ის მეორე ხუთწლედის მიჯნაზე აღარ გავს არა მარტო მეფის დროის, არამედ, არც იმ სოფლის მეურნეობას, რომელიც ჩვენ პირველი ხუთწლედის დასაწყისში გვქონდა.

თუ პირველი ხუთწლედის დასაწყისში მსხვილი სას. სამეურნეო მანქანა-იარაღები თითზე ჩამოსათვლელი იყო და გადამწყვეტ როლს ისევ მამა-პაპური კავი თამაშობდა, დღეს ჩვენ გვაქვს 21 სამანქანო-სატრაქტორო სადგური, გვაქვს 1305 ტრაქტორი, რომელთა ძალოვნება 20 ათას ცხენის ძალას აღემატება. ჩამოყალიბებულია 166 მსხვილი საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც უჭირავს 252 ათასი ჰექტარი ვარგისი მიწა და სხვ.

სოციალისტური ინდუსტრიის უდიდესმა წარმატებებმა უზრუნველჰყო სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რელსებზე გადაყვანა: სამანქანო - სატრაქტორო სადგურები და საბჭოთა მეურნეობები თავისი ახალი ტექნიკური, მიწის დამუშავების ახალი წესით, გლეხთა მეურნეობის პირდაპირი დახმარებით, ნამდვილ გადატრიალებას ახდენს სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში და მოსახლეობის სულიერ განწყობილებაში. საქართველოს გლეხური მეურნეობის 36 პროცენტზე მეტი უკვე გაერთიანებულია კოლმეურნეობებში.

## სოფლის მეურნეობის მექანიზაცია

### სამანქანო-სატრაქტორო სადგურები

მე-17 პარტკონფერენციამ გარკვეული დირექტივები მოგვცა მეორე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის განვითარების გზების შესახებ. ეს გზა არის საბჭოთა მეურნეობების და სამ. სატრ. სადგურების მშენებლობა და კოლმეურნეობათა საორგანიზაციო - სამეურნეო განმტკიცება. „სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია განხორციელდეს იმრიგად, რომ სამ. სატ. სადგურებმა მომსახურეობა გაუწიონ ყველა კოლმეურნეობებს და ძირითადად დამთავრდეს სოფლის მეურნეობის მექანიზაცია".

სამ.-სატ. სადგურებმა კოლმეურნეობების მინდვრები უნდა გარდაქმნან თესლთა ბრუნვის და აგროტექნიკის უკანასკნელ მიღწევების საფუძველზე. სამ. სატრაქტორო სადგურები უნდა გადაიქცენ სოფლის ენერგეტიული და კულტურულ ცენტრად, მათ გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშონ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცების საქმეში, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების მშენებლობის, ნედლეულის გადამამუშავებელ, კულტურული და საგზაო მშენებლობის ცენტრად და სხვ.

| | 1929 წ. | 1930 წ. | 1931 წ. | 1932 წ. |
|---|---|---|---|---|
| სამ. სატრ. სადგ. რიცხვი | 3 | 5 | 7 | 21 |
| ტრაქტორების რაოდენობა | 133 | 148 | 810 | 555 |
| მათი ძალოვნება (ცხ. ძალ.) | 1425 | 1710 | 3630 | 10300 |

### მანქანა-იარაღების საერთო რაოდენობა

| | [illegible] | [illegible] | 1932 წ. *) | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| 1. ტრაქტორები | 175 | 1.130 | 1.305 | 714 |
| 2. კომბაინი | — | 18 | 18 | — |
| 3. გუთანი | 9.000 | 64.400 | 73.400 | 70.700 |
| 4. რკინის ფარცხი | 1.050 | 22.562 | 23.612 | 4.700 |
| 5. კულტივატორი | 5.000 | 14.448 | 19.448 | 22.500 |
| 6. სამკალი მანქანები | — | 715 | 715 | 700 |
| 7. სათიბი მანქანები | 350 | 1.627 | 1.977 | 1.425 |
| 8. ტრიერი | 250 | 1.211 | 1.471 | 710 |
| 9. სანიავებელი მანქანა | 400 | 3.370 | 3.770 | 1.000 |
| 10. სათესი მანქანა | 90 | 5.185 | 5.275 | 2.700 |

აქაც ხუთწლიანი გეგმის ვარაუდები დიდათაა გადაჭარბებული; ამნაირად წარმატებითაა შესრულებული საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 1928 წ. 8 სექტემბრის დადგენილება საქ. კომპარტიის მუშაობის შესახებ, „რადგან საქართველოში მიწის დამუშავების ფორმები განსაკუთრებით ჩამორჩენილია—რაიონების უმრავლესობაში ჯერ კიდევ გავრცელებულია კავი და თოხი — უნდა განვითარდეს ფართო მუშაობა მიწის დამუშავების გაუმჯობესებულ ფორმაზე გადასასვლელად (გუთანი, მანქანა)".

*) ამორტიზაციის გამოუკლებლად.

მოყვანილი ციფრები მჭერმეტყველურად ლაპარაკობენ, თუ რა დიდ წარმატებებს მიაღწია საქართველოს სოფლის მექანიზაციამ, განსაკუთრებით 1932 წელში, როცა სამ. სატრ. სადგურების და მასში ტრაქტორების რიცხვი წინა წლის მიმართ თითქმის სამჯერ გაიზარდა. ის მრავალი დეფექტები, რომელიც ჯერ კიდევ თან ახლავს სამ. სატრაქტორო სადგურების მუშაობას. სუსტი მომსახურეობა კოლმეურნეობებისადმი, სუსტი ბრძოლა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ სამეურნეო განმტკიცებისათვის, ტრაქტორების სუსტად დატვირთვა და სხვ.), ოდნავადაც ვერ ასუსტებენ სამ. სატრაქტორო სადგურების უდიდეს მნიშვნელობას სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში.

## საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა

საბჭოთა მეურნეობების წინაშე საქართველოში 5 წლიანი გეგმა აყენებდა შემდეგ ამოცანებს: თავიანთი მეურნეობის გაფართოება და სამეურნეო განმტკიცება გლეხურ მეურნეობებზე აგროკულტურული ზეგავლენა და მომსახურება, ხელის შეწყობა საკოლმეურნეო მშენებლობისათვის, მთელ რიგ აგროკულტ. ხასიათის სამუშაოთა ჩატარება განსაკუთრებით [illegible] აღდგენა და შემდგომი განვითარება ამერიკულ საძირეებზე, ხეხილის ბაღების გაუმჯობესება და განვითარება, მოსახლეობის საუკეთესო ნერგის მიწოდების გზით, მთელ რიგ სანერგეების და სათესლე მეურნეობის მოწყობა და სხვ.

მეორე ხუთწლედში საქართველოს საბჭოთა მეურნეობებიც საგრძნობი მიღწევებით გადადიან. პირველ ყოვლისა, ხუთწლიანი გეგმა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დიდი გადაჭარბებითაა შესრულებული, ამავე დროს გარკვეული მიღწევებია აგრეთვე მათი სწორი შინაგანი მოწყობის და შრომის ორგანიზაციის საქმეში.

| | [illegible] 1-33 წლისათვის | ფაქტიურად 1932 წ. |
|---|---|---|
| 1. საბჭოთა მეურნეობების რიცხვი | 52 | 166 |
| 2. მათი საერთო ფართობი (ჰექტ.) | 62106 | 252962 |

ყველა ეს — 166 საბჭოთა მეურნეობა მოქცეულია 19 გაერთიანებაში.

საბჭოთა მეურნეობებმა საქართველოში დიდი მუშაობა ჩაატარეს ვენახების აღსადგენად და ფილოქსერას წინააღმდეგ ბრძოლის და აგრეთვე მოსახლეობის სანერგე მასალით მომარაგების საქმეში, მათ დიდი როლი ითამაშეს აგრეთვე როგორც ჩაის და სხვა ტექნიკურ კულტურათა, ისე მეცხოველეობის განვითარების მხრივ.

## კოლექტივიზაცია

უდიდესმა მიღწევებმა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმეში ფეხზე დააყენა მთელი სოფელი. მშრომელი გლეხობა დაუპირდაპირდა სოფლად კაპიტალისტურ ელემენტებს. კულაკობა ებრძვის ახალი ტექნიკის შემოტანას, შრომის პროცესების მექანიზაციას, წინ ეღობება საწარმოო ძალთა განვითარებას, ებრძვის სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას. პირიქით, გლეხობის მშრომელი ნაწილი ხსნას სწორედ ახალ ტექნიკაში, მეურნეობის ახალ ფორმაში ხედავს, ადგება კოლექტივიზაციის გზას.

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| 1924 წ. | 11 | 264 | — |
| 1927 წ. | 163 | 1454 | 0,3 |
| 1929 წ. | 383 | 12930 | 2,5 |
| 1930 წ. | 2119 | 90.446 | 19,3 |
| 1932 წ. | 3417 | 165.689 | 36,1 |

ამრიგად სანამ ქალაქის მრეწველობა ძველი არ შევიდა თავის რეკონსტრუქციის პერიოდში, სოფლად გაბატონებული იყო კოოპერაციის უფრო მარტივი ფორმები, კოლექტივები აქ ჩანასახის მდგომარეობაში იყვნენ. ხოლო, როდესაც ქალაქის მრეწველობა შეუდგა ხუთწლედის განხორციელებას, სოფ. მეურნეობისათვისაც წამოიჭრა აუცილებლობა მის სოც. საფუძველზე გარდაქმნისა, და სოც. ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე ჩქარი ტემპით დაიწყო სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქცია, რომელმაც დიდათ გადააჭარბა პირველი ხუთწლედის ვარაუდებს.

კერძოთ აღსანიშნავია გეგმის გადაჭარბებით შესრულება ხარისხობრივ მაჩვენებლებში. (განსაზოგადოების ხარისხი, კოლმეურნეობების სიდიდე და სხვ.).

მე-17 პარტკონფერენციის რეზოლუციაში მეორე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ნათქვამია, რომ „კოლმეურნეობათა საორგანიზაციო პოლიტიკური განმტკიცება და კოლმეურნეთა ფართო მასის სოციალისტური აღზრდა, ყურადღების ცენტრში უნდა იქნეს დაყენებული მეორე ხუთწლედში".

საქ. კ. პ. (ბ) ლენინურმა ცეკამ, რომელმაც დიდი მუშაობა ჩაატარა, პარტიის ხელმძღვანელობის მიერ საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში დაშვებულ „მემარცხენე" და მემარჯვენე ხასიათის შეცდომების გამოსასწორებლად, გარკვეულ შედეგებს მიაღწია კოლმეურნეობათა საორგანიზაციო - სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების საქმეში.

პირველ ყოვლისა, გაიზარდა და განმტკიცდა კოლმეურნეობათა შორის სას. სამ. არტელის ხვედრითი წონა, თუ 19[..] წ. კოლმეურნეობათა ის 70 პროცენტს შეადგენდა, 1932 წელში სას. სამ. არტელის ხვედრითმა წონამ 85 პროცენტს გადააჭარბა. მომზადებული და გადამზადებული იქნა ათი ათას კაცამდე კოლმეურნეობის მასიური კვალიფიკაციის კადრები, კოლმეურნეობათა აბსოლუტურ უმრავლესობაში გატარებულია მუშაობის სანარდო სისტემა, კოლმეურნეობათა დიდ უმრავლესობაში მოწყობილია მუდმივი შემადგენლობის ბრიგადები, შეუდარებლად გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში, გამონაკლისს კოლმეურნეობათა გარდა მოსავლისა და შემოსავლის განაწილებულია მხოლოდ შრომა-დღეებზე და ამრიგად შრომის სოც. მეთოდების გამოყენებით მიღწეულია შრომის ნაყოფიერების და შრომა-დღის ანაზღაურების საგრძნობი ზრდა, მაგალითად, ოზურგეთის რაიონში შრომა-დღის ანაზღაურება 50 პროცენტზე მეტით გაიზარდა, ხოლო ცალკე კოლმეურნეობებში შრომის დღის ანაზღაურება გასულ წელთან შედარებით ორჯერ და სამჯერაა გაზრდილი. პარტიის და მთავრობის დადგენილების საფუძველზე ფართოდ გაიშალა აგრეთვე საკოლმეურნეო ვაჭრობა. გახსნილია 250-ზე მეტი სავაჭრო წერტი და სხვა. ამით ჩვენ არ გვინდა იმის თქმა, რომ საქართველოში, საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში ყველაფერი გაკეთებულია. პირიქით, ჩვენ ჯერ კიდევ მრავალი დეფექტები გვაქვს ამ მხრივ: ცალკეულ კოლმეურნეობებში ბრიგადები ან სულ არაა მოწყობილი (დუშეთის რაიონის ცალკე კოლმეურნეობები), ან კიდევ ფორმალურ ხასიათს ატარებენ. ყველგან არაა მოწესრიგებული შრომის აღრიცხვა (თელავის, დუშეთის და სხვ. რაიონის ცალკე კოლმეურნეობები), ადგილი აქვს დამახინჯებებს მოსავლის და შემოსავლის განაწილების და საკოლმეურნეო ვაჭრობის საქმეში და სხვ. ამგვარად, კოლმეურნეობათა საორგანიზაციო - სამეურნეო განმტკიცების საქმეში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რომელიც საბრძოლო ამოცანად სდგას ჩვენს წინაშე, მაგრამ ყველა ამ დეფექტებს აგრეთვე არ შეუძლიათ იმ უდიდეს მიღწევათა დაჩრდილვა, რომელიც საქ. პარტორგანიზაციებმა მისი ც. კ. სწორი ხელმძღვანელობით მოიპოვა კულაკობის წინააღმდეგ და ორ ფრონტზე დაუნდობელი ბრძოლის შედეგად და რომელსაც აუცილებლივ მოყვება არა მარტო არსებულ კოლმეურნეობათა განმტკიცება, არამედ ახალ კოლმეურნეობათა ზრდაც.

## ტექნიკური კულტურები

პირველი ხუთწლედის დასაწყისში — 1928 წლის 8 სექტემბერს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა „საქართველოს კომპარტიის მუშაობის შესახებ" დაგვისახა საქ. სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გზები: „შემდეგისათვის საჭიროა ყურადღება მიექცეს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას—შრომის ტევად კულტურების განვითარების ამოცანებს კოოპერაციაში გაერთიანებისა და კოლექტივიზაციის საფუძველზე, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოში მიწის სიმცირის პირობებში" და შემდეგ იმის შესახებ, თუ რა გზით უნდა წავიდეს ამ ტექნიკური და შრომის ტევად კულტურების განვითარება. ამავე დადგენილებაში ნათქვამია: „რადგან სას. სამ. კოოპერაციის მუშაობა სუსტია, რადგან ნელი ტემპით სწარმოებს კოოპერაციაში გაერთიანება, მეტადრე ღარიბების, რადგან სრულიად საკმარისი არ არის კოოპერაციაში გაერთიანება სპეციალურ და ტექნიკური კულტურების (ჩაი, ბამბა, თამბაქო, ვენახი) რაიონებში,— მიღებულ იქნეს ზომები გლეხურ მეურნეობათა კოოპერაციაში გაერთიანებისა და კოლექტივიზაციის ტემპის გასაძლიერებლად ამ მიზნით, პირველ რიგში გაფართოვდეს მუშაობა გლეხურ მეურნეობათა პროდუქციის გადასამუშავებლად და გასაღების, მათი კონტრაქტაციისათვის" ამ დადგენილებიდან ოთხი წლის შემდეგ, საქ. პარტორგანიზაციას ამაყად შეუძლია განაცხადოს, რომ მან ს. კ. პ. (ბ) ცეკას ეს დადგენილება დიდის წარმატებით შეასრულა.

საქართველოს განსაკუთრებული ბუნებრივ-კლიმატიური პირობები შესაძლებლობას იძლევიან ისეთი მაღალხარისხოვან და ძვირფას ტექნიკურ კულტურების განვითარებისათვის, როგორიცაა: ჩაი, თამბაქო, ბამბა, რამი, ციტრუსოვანი მცენარეები და სხვა, რომელსაც ასე დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისათვის, რადგან „მეორე ხუთწლედში ამიერ-კავკასიამ ძირითადად უნდა დააკმაყოფილოს საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაის მხრივ". და აგრეთვე ამიერ-კავკასია მეორე ხუთწლედში უნდა გადაიქცეს საბჭოთა კავშირში ბამბის ნედლეულის მეორე ბაზად, და სხვ. იმის ნათელსაყოფად, თუ რა დიდ წარმატებებს მიაღწია საქ. პარტორგანიზაციებმა ტექნიკურ კულტურათა განვითარების საქმეში, მოგვყავს შემდეგ ციფრებს:

# საბჭოთა კავშირის 10 წლის თავი

...თა რიცხვი, არამედ ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქების რიცხვიც. ამჟამად 19 ავტონომიური რესპუბლიკაა, რომელთაც მოიწყვეს ათი ნაციონალური ოლქი, 250 ნაციონალური რაიონი და 5.300 ნაციონალური სოფლის საბჭო, სოციალისტური სისტემის ნაციონალურ საზოგადოებრივ ერთეულების შექმნა ...

...ხუთწლიანი გეგმა ძირითადად შეასრულეს ოთხ წელიწადში. — ნებისყოფა, — იბრძოლონ ახალი წარმატებებისათვის, წარმოადგენს იმის საუკეთესო გარანტიას, რომ ჩვენ უახლოეს დროში გადავლახავთ სიძნელეებს და მივაღწევთ კიდევ უფრო დიდ გამარჯვებას სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ა. ენუქიძე.

# საბრძოლო ყალდებულებები შესრულებულია

**საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტს — ამხ. ბერიას, საქ. კ.პ. (ბ) ცეკას — ამხ. ალნიაშვილს**

**გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას, გაზეთ „ტიფლისკი რაბოჩი“-ს რედაქციას**

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას უშუალო ბოლშევიკური ხელმძღვანელობით, ორგანიზაციულ მასიური მუშაობის გაშლის საფუძველზე, კულაკების და მათი აგენტების — მემარჯვენე ოპორტუნისტების და „მემარცხენე“ გადამხვევლების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით და გასულ წელს ...

პურის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 102,6 პროც., დამზადებულია 8.220 ცენტნერი პური.

...

# საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

## ქვემო ვოლგის მხარის ნიჟნე-ჩირსკის და კოტელნიკოვის რაიონების შესახებ

მოსკოვი, 30 დეკემბერი. ...

...

II. პარტიის და სახელმწიფოს მოტყუებისათვის, რაც გამოიხატა კოტელნიკოვის რაიონში დათესილ საშემოდგომო პურეულის რაოდენობის შესახებ აშკარად ყალბი, გადამეტებული ცნობების წარმოდგენაში, 1932 წელს კოტელნიკოვის რაიონში მოხავლის მოუწესრიგებლად აღებისათვის, რის შედეგად აგინოვის კოლმეურნეობაში დაილუპა ორასი ჰექტარი ხორბალი, ნიჟნე-იაბლოჩნის კოლმეურნეობაში — 57 ჰექტარი ჭვავი, ნაგაევის კოლმეურნეობაში — 384 ჰექტარი ჭვავი, აგრეთვე კოტელნიკოვის რაიონის სხვა კოლმეურნეობებში დაილუპა ნათესების საგრძნობი ნაწილი; ...

...რომ მხარეში ასეთი მოვლენების განმეორების დროს იგი გამორიცხული იქნება პარტიიდან.

გ) გამოეცხადოს სასტიკი საყვედური გაფრთხილებით სამხარეო ალმასკომის თავმჯდომარეს ამხ. კოზლოვს.

დ) გამოეცხადოს სასტიკი საყვედური სამხარეო პარტკომის პირველ მდივანს ამხ. პტუხას.

ე) გამოეცხადოს სასტიკი საყვედური გაფრთხილებით სამხარეო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. კაიწინს.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.
1932 წ. 30 დეკემბერი.

# პირველი ხუთწლედის გამარჯვებები

## საბჭოთა კავშირს სელის წარმოების მხრივ პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში

მოსკოვი, 28 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის დარგებს შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს სელის მეურნეობას. დაქუცმაცებული და წვრილი გლეხური სელის მეურნეობა დაბალი და ჩამორჩენილი ტექნიკით ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გადაიქცა მსხვილ სოციალისტურ სელის მეურნეობად.

ჩვენში ადგილი აქვს სელის ნათესი ფართობების გიგანტურ ზრდას. 1928 წელს სელის ნათესი საბჭოთა კავშირში უდრიდა 1.310 ათას ჰექტარს, 1932 ...

წელს საბოლოოდ გადაიჭრა სელის აღების მექანიზაციის პრობლემა. 1932 წელს სელის მოსავლის აღების საქმეში მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირში დამზადებული 11.029 სელის ახალები მანქანა. თუ 1928 წელს ჩვენ გვქონდა სელის პირველადი დამუშავებელი 2 ათეული ქარხანა, ხუთწლედის უკანასკნელ წელს გვაქვს 464 ქარხანა 577 შვინგტურბინით.

...საბჭოთა კავშირის ხვედრითი წონა სელის მსოფლიო წარმოებაში. სელის ნათესი მსოფლიოს კაპიტალისტურ ქვეყნებში 1932 წელს უდრიდა 2.746 ათას ჰექტარს, საბჭოთა ...

...

## 100 000 კილომეტრი ახალი გზა, 60 ათასზე მეტი ახალი ავტომანქანა

...

# სახალხო განათლების და კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგები

სახალხო განათლების და კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა, საქართველოს მთავარ დარგებში ოთხწელში შესრულდა. ...

...

### ნათესი ფართობები

...

### მეცხოველეობა

...

### კაპიტალური დაბანდებანი

...

...სკოლების მუშაობა. მაგრამ ის, რაც გაკეთებულია ჯერ კიდევ საკმარისი არ არის.

პირველ ხუთწლედში შესაფერისი ყურადღება ექცეოდა მეცნიერული კადრების მომზადების საქმეს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ასპირანტურის გაშლა და პროლეტარიატის ფენებიდან მეცნიერების მუშაკთა კადრების მომზადების დაწყება.

პირველი ხუთწლედის შესრულების მიხედვით საგრძნობი მიღწევები გვაქვს საერთოდ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულ...

...უნდა მიექცეს სასკოლო მშენებლობის ტემპების ჩამორჩენას და არსებითად უნდა გაუმჯობესდეს სკოლების მატერიალური ბაზა.

ყველა ამ ამოცანების შესრულებისათვის საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ, როგორც სასკოლო მშენებლობის, ისე კულტურული რევოლუციის ყოველ დარგში.

ი. ვაშაყმაძე.

# ძლევის გზაზე

(ახალ ხუთწლედს)

დღეს იბადები!
მეც ვემზადები
შენს შესახვედრად,
ხუთწლედის მხედრად!
თუმც მხედრის ბრძმედში
პირველს ხუთწლედში
გავტარდი უკვე,
მაგრამ მე უკან
არ ვიხედები,
როცა ქმედები
წინ მიმიხმობენ...
ამ მოწოდებას!
მუხლთ მოკოდებას,
არ აქვს ადგილი!
მკლავი აწვდილი
ეცემა მძლავრად,
სად რკინას ჯავრად
გულს აწვა ქანგი
და ძლევის შტანგი,
ხელში — ჩაქუჩი,
მას სპობდა, ურჩი!
და გაიქედა სხვა იარაღიც,
თან მძლეც- თან ლაღიც!
ეს—შენ, ხუთწლედო!
ახალო ქმედო
ჩვენის მიზნისა,
კომუნიზმისა!...
და ბრუნავს ჩარხი:
მოდის უკლასო ახალი ხალხი!
მოდის ქვეყანა ახალი წვევის-
ქვეყანა შრომის, ბრძოლის და
ძლევის!
მეც—იქით!
უკან არ ვიხედები.
რადგან ქმედები
წინ მიხმობს ყველა:
დროს უნდა შველა!
ის ითხოვს ტემპებს!
და მსხვრევაც—კერპებს!
მსხვრევა — ბორკილებს!
შვების ქორწილებს
თან რომ ვსდევ ნაყრად.
და ვურტყამ მაგრად,
ენტუზიაზმით
განუზრელ საზით —
ყველა გადახრებს!..
და ვილევ სანგრებს,
ამ ბრძოლის გზაზე
ქარხნების ხმაზე!...

ნ. ზომლეთელი.

